პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (18263) ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ყოველი დღე — დამკვრელური!

- სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — დიდი შრომითი აღმავლობა!
- წლიური გეგმა — 25 დეკემბრისათვის.
- გორი ეჯიბრება ცხინვალსა და გეორგიევსკს.

ახალციხე

აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს დიატომიტის მომპირკეთებლებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის დავალება, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად დაიწყეს მუშაობა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დიატომიტის კარიერის (უფროსი ნ. მოდებაძე) მუშებმა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თ. მაჩაიძემ, რ. მაღლაკელიძემ, რ. ლომიძემ, ვ. ტაბატაძემ, ვ. შერგელაშვილმა, ზ. მანჩხაშვილმა, ნ. გვირჯიშვილმა, ნ. მოდებაძემ და სხვებმა, რომელთა ცვლის უფროსია გამოცდილი სამთოელი პ. მოდებაძე.

პირველ დეკადაში ახალციხელმა სამთოელებმა გეგმით გათვალისწინებული 8200 ტონის ნაცვლად ამოიღეს 8300 ტონაზე მეტი დიატომიტი. ასევე წარმატებით იშრომეს მათ მეორე დეკადაში. სამთოელთა გადაწყვეტილებაა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილესათვის გეგმის გადამეტებით ასობით ტონა დიატომიტი მისცენ ქვეყანას.

მახარაძე

რაიონის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის (დირექტორი ჯ. დოლიძე) კოლექტივმა ჩინებული შედეგებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი და უკეთესი მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეორე წელი. ამაზე მიგვანიშნებს განვლილ დღეებში მოპოვებული წარმატებები. 12 დღეში გამოშვებულია 871 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 92 ათასი მანეთით სჭარბობს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს. მარტო ერთ დღეში დამზადებულია 90 ათასი მანეთის ნაწარმი, მაშინ როდესაც შარშან იმავე დღეს გამოშვებული იყო 41 ათასი მანეთისა.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ წარჩინებული ფეიქრები ნინო ქართველიშვილი, ანა ქაჯაიანი, ზინა ხურხიანსკია, მერი ხვადაგიანი და სხვები.

ფეიქრებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წლის დავალება ვადაზე ადრე — 25 დეკემბრისათვის შეასრულონ. (საქ. კორ.).

ხაშური

შარშან ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკამ საგეგმოზე 242 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია გაუგზავნა მომხმარებელს. ხაშურელ ფეიქართა ნაწარმი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ძალიან მოსწონთ. ამიტომ ასორტიმენტის განახლება კოლექტივის მუდმივი საზრუნავია. მიმდინარე წელს საფარდე-სამქმანე პროდუქცია დაახლოებით 30 პროცენტით განახლდება.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოს მთელი კოლექტივია ჩაბმული. შრომითმა მეტოქეობამ ნოვატორი ფეიქრების ახალი სახელები წარმოაჩინა. დაწინაურებულთა შორის არიან საფარდე-სამაქმანე საამქროსა და ლენტსაქსოვი საამქროს ბრიგადები, რომლებსაც ჯ. გოჩიაშვილი და ს. ნათენაძე ხელმძღვანელობენ. ეს კოლექტივები ამჟამად მარტის ანგარიშში შრომობენ.

რაიონული რგოლი და პრესა

დღეს „კომუნისტში" გაზეთ „პრავდიდან" გადმობეჭდილია მისი სპეციალური კორესპონდენტების გ. ლებანიძის, ვ. ხომოვისა და ო. სტეპანენკოს წერილები საქართველოდან სათაურით: „რაიონული რგოლი". უკვე წერილების სათაური და რუბრიკა — „მინდორი — ქარხანა: ერთიანი კომპლექსი" — მიანიშნებს მკითხველს, რომ საბჭოთა პრესის ფლაგმანის ეს პუბლიკაციები [illegible]ვენს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნას [illegible]ძღვნება. ხოლო, როცა მკითხველი მათ შინაარსს გაეცნობა, ნათლად წარმოიდგენს სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული რგოლის სრულყოფის პრინციპულ მნიშვნელობას, სიახლისადმი იმ [illegible] განიმსჭვალება, რომ აბაშის რაიონის ექსპერიმენტის [illegible] რესპუბლიკაში გავრცელება, აბაშაში და მახარაძეში შეძენილი გამოცდილების განზოგადება, მისი სხვა რაიონებშიც გა[illegible] ის სწორი მიმართულებაა, რომელმაც არაერთი, ტრადიციულად რთული პრობლემა უნდა გადაჭრას, და უპირველესად [illegible] სასურსათო პროგრამის განხორციელების პროცესში.

ყველა სიახლეს უჭირს ხოლმე გზის გაკვლევა, მით უმეტეს ისეთ [illegible] დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. დასახული [illegible] სინათლეს, მისი მიღწევის რეალობის რწმენას მეტწილად [illegible] გადამწყვეტი როლი აქვს თვით სიახლის დანერგვაში.

ამ თვალსაზრისით „პრავდაში" ზემოთ აღნიშნული კორესპონდენციების დაბეჭდვის სარგებლობა განუზომელია, ისევე, როგორც [illegible], ისევე, როგორც ფასდაუდებელია საერთოდ, გაზეთ „პრავდის" დამსახურება რესპუბლიკაში მომხდარი არსებითი სასიკეთო ტენდენციების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს ჟურნალისტთა VI ყრილობამ აღნიშნა ის დიდი [illegible], რომელიც რესპუბლიკას დასდეს გაზეთებმა „პრავდამ", [illegible], „სოვეტსკაია კულტურამ", „ლიტერატურნაია გაზეტამ", „კომსომოლსკაია პრავდამ", სხვა ცენტრალურმა გამოცემებმა, საკავშირო ტელევიზიამ. ამასთან ხაზგასმით ითქვა, რომ აქ ნაგულისხმევია არა მარტო და არა იმდენად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებისა და მიღწევების საპოპულარიზაციო პუბლიკაციები და გადაცემები, რამდენადაც სწორედ მწვავე, პრობლემური, კრიტიკული გამოსვლები — „პრავდის" ფელეტონები, მასალები სახალხო-სამეურნეო თემებზე და პარტიული ცხოვრების რუბრიკით, საკავშირო ტელევიზიის გადაცემა ჩაის ხარისხზე და ა. შ.

ჟურნალისტთა ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ავტორიტეტის ამაღლებას ხელი შეუწყო 1978 წლის 14 ნოემბერს „პრავდაში" გამოქვეყნებულმა სტატიამ სათაურით „გარდაქმნების პრიზმით", რომელშიც რესპუბლიკური [illegible] ორგანოების ჩრდილი და შუქი იყო ასახული და ფრიად [illegible] რჩევები მოცემული.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა სპეციალური პლენუმი [illegible] ამ სტატიაში აღძრულ საკითხებზე მსჯელობას. პლენუმს [illegible] უძღოდა სტატიის განხილვა ჟურნალისტთა ყველა პირველადს [illegible] რეგიონალურ ორგანიზაციაში.

დიდ ყურადღებას ითხოვს ამჟამად ადგილობრივი პრესა.

რაიონული გაზეთების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა და მისი გამოსწორების გზების ძიებას საფუძვლად დაედო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილება „რაიონული გაზეთების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". ამ დადგენილებით სრულიად კონკრეტული ამოცანები დაისახა. მათგან ერთ-ერთი პირველი იყო ადგილობრივ პრესაში მომუშავე ჟურნალისტთა პროფესიული დაოსტატება. ამ [illegible], სხვა ღონისძიებებთან ერთად, დაწესდა რესპუბლიკურ გაზეთებში რაიონული გაზეთების მუშაკთა სტაჟირება, რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების შეფობა რაიონული გაზეთებისადმი, [illegible] მზრუნველად წყდება პროფესიონალი ჟურნალისტებით რაიონული გაზეთების სარედაქციო კოლექტივების გაძლიერების საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან გაიხსნა მეორადი პროფესიის დაუსწრებელი განყოფილება, სადაც დღეისათვის რაიონულ გაზეთებში მომუშავე [illegible] არასპეციალისტი ეუფლება ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის [illegible]თან ერთად რესპუბლიკის რეგიონებში რეგულარულად [illegible] შეხვედრებს რაიონულ გაზეთებში მომუშავე ჟურნალისტებთან.

მართალია, როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა, მაგრამ სასურველი ეფექტი ჯერჯერობით ამას არ მოჰყოლია.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხორციელდებოდეს არა მარტო ცალკეული, ეპიზოდური, ლოკალური ღონისძიებები, არამედ მოქმედებდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი პრესის [illegible] მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას. მისი უახლესი და უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ დარაზმოს სოფლის მშრომელები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკები 1982 წლის, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა-ვალდებულებების განაღდებისათვის, გაზეთის ფურცლებზე თავიდანვე დაამკვიდროს აზრი იმის შესახებ, რომ, თუ აბაშაში გაერთიანებას ექსპერიმენტის ხასიათი ჰქონდა, ცდა იყო, რესპუბლიკის სხვა რაიონებისათვის ეს უკვე ცდა კი არა, შემოწმებული გამოცდილებაა, რომლის დანერგვამ წელსვე უნდა მოგვცეს შედეგი და უკუგება. ადგილობრივმა პრესამ გულისყურით უნდა ადევნოს თვალი აგროსამრეწველო გაერთიანებათა პირველსავე ნაბიჯებს: დროზე შენიშნოს ნაკლი და მრუდი, თამამად განაზოგადოს დადებითი და მიღწეული, რისთვისაც იქნებ გაზეთების რედაქციებში სტრუქტურული ცვლილებებიც კი გახდეს საჭირო.

„სიახლის სურათს ვხედავთ სოფლის მეურნეობაშიც, — აღნიშნა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, — თქვენ მეათე ხუთწლედში მიაღწიეთ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის რეკორდულ მოსავალს. ქვეყანაში გულისყურით აკვირდებიან რესპუბლიკაში მიმდინარე საინტერესო ექსპერიმენტებს. მე მხედველობაში მაქვს სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფა, შრომის სტიმულირება, კოოპერაცია საზოგადოებრივ და პირად მეურნეობებს შორის".

ადგილობრივმა პრესამ თავისი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს საპატიო ვალის მოხდაში, საქართველოს სოფლის მშრომელებს რომ მართებთ, — საქმით აღმოჩნდნენ ლ. ი. ბრეჟნევის [illegible] შეფასებათა, სადღეისო მოთხოვნათა დონეზე.

საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობის გახსნის შესახებ

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო აცნობებს საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობის დელეგატებს, რომ ყრილობა გაიხსნება 1982 წლის 28 იანვარს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ პროფკავშირთა კულტურის სასახლეში (ცაგა-ფშაველას პრ. 48).

საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 27 იანვარს დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქ. 19).

ტელეფონი: 99-67-42; 93-29-11; 93-41-08; 93-86-60.

შემართებით შრომობს წლის დამდეგიდან თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი. ფეიქართა წარმატების საფუძველი წინა წლების მიღწევებია. გასულ წელს საწარმოში შრომის ნაყოფიერება მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელთან შედარებით 14,6 პროცენტით გაიზარდა და შვიდი სახეობის ქსოვილს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

„კომუნისტის" კორესპონდენტის თ. ნიკოლაიშვილის ფოტოზე აღბეჭდილია კომბინატის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე ბრიგადა (მარცხნიდან): ნართის გადამხვევები ლ. მიქიაშვილი, მ. მიქიაშვილი, ოსტატი რ. ალბორიშვილი, გადამხვევები ნ. სინჯიაშვილი და ა. არაბიძე. ეს კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას 180 პროცენტით ასრულებს.

ქართული მანგანუმის მაღალი ღირსებისათვის

ქალაქ ჭიათურის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1982 წლისათვის

ქალაქ ჭიათურის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში, წარმატებით დაამთავრეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი.

ორდენოსანი ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა 1981 წლის 19 დეკემბრისათვის უპატაკეს სამშობლოს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმების შესრულება. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 2700 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 3 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4200 ათასი მანეთის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია, რომლის ხვედრითმა წილმა შეადგინა 40,6 პროცენტი — 7 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით.

ქალაქის მრეწველობის ფლაგმანმა — „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა მილიონი მანეთის, გაანაღდა მილიონ 100 ათასი მანეთის პროდუქცია, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა შეადგინა 53,2 პროცენტი დაგეგმილი 46 პროცენტის ნაცვლად.

წარმატებით დაამთავრეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი მშენებლებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა.

ამინდის ჭირვეულობას მაღალი ორგანიზებულობა დაუპირისპირეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სახელმწიფოს ხუთწლედის პირველ წელს მიჰყიდეს 1300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 800 ტონის ნაცვლად, 408 ტონა მარცვალი, 9,6 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ქალაქის მშრომელებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა". ამ მოძრაობაში ჩაება და გადიდებული სოციალისტური ვალდებულება იკისრა ქალაქის 9000-მდე მშრომელმა.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავის ზეიმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულ რჩევა-დარიგებათა უთუოდ შესრულებისა და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ქალაქ ჭიათურის მშრომელებმა 1982 წლისათვის იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

მრეწველობაში პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულება უზრუნველყონ 25 დეკემბრისათვის, აწარმოონ მილიონ 800 ათასი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. გეგმის გადამეტებით გამოუშვან: მანგანუმის მადანი — 20 ათასი ტონა, კვარცის სილა — 22 ათასი ტონა, მარმარილოს ნამცეცი — 400 ათასი ტონა, მარმარილოს მოსაპირკეთებელი ფილა — 250 კვადრატული მეტრი, სილიკატური აგური — 60 ათასი ცალი, ჩაი — 50 ტონა.

მნიშვნელოვნად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, განხორციელდება ხელის შრომის შემდგომი შემცირების ღონისძიებანი.

ფართოდ გაიშლება მოძრაობა ეკონომიკისა და მომჭირნეობის რეჟიმისათვის. 1982 წელს დაიზოგება ლითონი — 200 ტონა, ელექტროენერგია — 6 მილიონი კილოვატსაათი, ხე-ტყე — 1400 კუბური მეტრი, ავტობენზინი — 50 ტონა, დიზელის საწვავი — 100 ტონა, მყარი სათბობი — 350 ტონა, ცემენტი — 550 ტონა.

ჭიათურის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს რკინიგზის ტრანსპორტით გეგმის გადაჭარბებით გადაზიდონ 20 ათასი ტონა, საავტომობილო ტრანსპორტით — 400 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაიყვანონ 300 ათასი მგზავრი; მშენებლობაში წლიური გეგმა გაანაღდონ 27 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით შეასრულონ 100 ათასი მანეთის საიჯარო სამუშაოები.

სოფლის მეურნეობაში მთლიანი პროდუქციის წარმოება გადიდდება 3 პროცენტით. ერთი ძროხის საშუალო წველადობა გაიზრდება 11 კილოგრამით, ყოველ 100 ძროხაზე მიიღებენ 75 ხბოს, გეგმით გათვალისწინებული 74-ის ნაცვლად.

ქალაქის ზონის სოფლის მეურნეობის მშრომელები სახელმწიფოს 5 ტონით მეტ ხორცს და 15 ტონით მეტ რძეს მიჰყიდიან გეგმასთან შედარებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის მტკიცე საკვების ბაზის შექმნას.

მოსახლეობას კოოპერირების წესით მიეყიდება გამოსაზრდელად 500 გოჭი, 50 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, უსასყიდლოდ გადაეცემა 200 ტონა უხეში საკვები.

გეგმის გადაჭარბებით მიეყიდება მოსახლეობას 100 ათასი მანეთის სასურსათო და სამრეწველო საქონელი, საყოფაცხოვრებო მომსახურება გაიზრდება 1300 მანეთით.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია მშრომელთა კოლექტივების კრებებზე.

მათი წვლილი ხუთწლედის განხორციელებაში

ქალაქ გორის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1982 წლისათვის

ერთხმად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ რა მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინურ პოლიტიკურ კურსს და პრაქტიკულ საქმიანობას, ქალაქ გორის მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი ენთუზიაზმით აღიქვეს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

მრეწველობის მუშაკებმა პროდუქციის წარმოების 1981 წლის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს მილიონი მანეთის პროდუქცია. 101,2 პროცენტით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ ვადაზე ადრე გაანაღდა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებები. განსაკუთრებით ისახელეს თავი ანალიზხელსაწყოს საცდელი ქარხნის, შპალსაჟღენთი ქარხნის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების და საავტომობილო გზების სამინისტროს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივებმა.

ქალაქის მშრომელებმა 1982 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

მრეწველობის დარგში. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებს მრეწველობის მუშაკები შეასრულებენ 28 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე აწარმოებენ 1,5 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. პროდუქციის მატების 80 პროცენტს მიიღებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. თვითღირებულება შემცირდება 0,3 პროცენტით, ზეგეგმითი მოგება გაიზრდება 100 ათასი მანეთით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ასორტიმენტის განახლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომატევადი სამუშაოების და საწარმოო პროცესების მექანიზაციის, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საკითხებს, წარმოების დაგეგმვისა და მართვის მექანიზმის შემდგომ სრულყოფას. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავა ბამბეულის საწარმოო გაერთიანება, ანალიზხელსაწყოს საცდელი ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება, ხორცკომბინატი და პურკომბინატი.

შემუშავებული სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის განხორციელდება მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები. გამოშვებული იქნება 62 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი, 10,2 ათასი ტონა პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, 3550 ტონა ხორცი და ხორცის ნაწარმი.

გაგრძელდება მუშაობა წარმოება-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისა და კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა განვითარებისა და გაფართოებისათვის.

გაძლიერდება საშეფო დახმარება სოფლის მეურნეობის ობიექტებისადმი. ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები სახელმწიფო დავალებას გაანაღდებენ 26 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით შეასრულებენ 80 ათასი მანეთის სამუშაოებს. საბინაო მშენებლობის წლიური პროგრამა შესრულდება 25 დეკემბრისათვის.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა კოლექტივები ტვირთზიდვის, ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო დავალებებს შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გადაიყვანენ 120 ათას მგზავრს, პარკის გამოყენების კოეფიციენტს ყველა სახეობაში აამაღლებენ 0,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაზრდიან 2 პროცენტით, მიიღებენ 25 ათას მანეთ მოგებას.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები სახელმწიფო გეგმის ძირითად მაჩვენებლებს შეასრულებენ 28 დეკემბრისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს კოლექტივები — 29 დეკემბრისათვის.

კომუნალური დარგის საწარმოთა კოლექტივები სახელმწიფო დავალებას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის, მიიღებენ 10 ათას მანეთ მოგებას გეგმის გადაჭარბებით.

საფუძველი ჩაეყრება სოციალისტურ შეჯიბრებას ქ. გეორგიევსკის შრომით კოლექტივებთან, გაგრძელდება მეგობრული მეტოქეობა ქ. ცხინვალის მშრომელებთან.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მოწონებულია ქ. გორის შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1982 წლის 25 იანვარს 79 წლისა ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. ი. პელშე, კ. უ. ჩერნენკო, ა. პ. კირილენკო, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი, გ. ს. პავლოვი, ვ. ნ. ფედოსეევი და ვ. ა. ზიმნევი.

2. მ. ა. სუსლოვი დაიკრძალოს წითელ მოედანზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გვინეაში

კონაკრი, 26 იანვარი (საკდესი). გვინეაში მყოფი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ვ. კოლბინის მეთაურობით მიიღო გვინეის პარტია-სახელმწიფოს გენერალურმა მდივანმა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სეკუ ტურემ.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება პარტიებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე.

იმავე დღეს დელეგაციამ გვირგვინები შეამკო ეროვნულ გმირთა მავზოლეუმი და 1970 წლის 22 ნოემბრის იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლთა ძეგლი.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

ჟურნალისტთა საბრძოლო ამოცანები

ბაქო, 26 იანვარი. (საქინფორმი). დღეს ბაქოში გახსნილ აზერბაიჯანის ჟურნალისტთა VI ყრილობაზე განიხილეს რესპუბლიკის ჟურნალისტთა მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები გახდნენ რესპუბლიკის მშრომელთა სახელოვანი საქმეების მემატიანეები. ყრილობის ტრიბუნიდან მათ განაცხადეს, რომ მზად არიან შემდეგი პარტიული პუბლიცისტიკის მთელი არსენალი მოახმარონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა დარაზმვას მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

სკკპ ისტორიისა და პარტიულ მშენებლობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური საბჭო აწყობს დისკუსიას თემაზე: „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მომწიფების ზოგიერთი საკითხი".

დისკუსია გაიმართება 1982 წლის 2 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29). დასაწყისი დღის 3 საათზე.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

დღევანდელობის მთავარი ამოცანა

ბერლინი. თანამედროვე პირობებში კაცობრიობას არა აქვს რა იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, კონკრეტული ღონისძიებების მიღწევა შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში, განუცხადა ჟურნალისტებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერმა, ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა მ. არდენემ. საჭიროა მთელი სიმტკიცით ვიბრძოლოთ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის, თანამედროვეობის საარსებო პრობლემებზე სერიოზული, საქმიანი მოლაპარაკებისათვის.

სწორედ ამიტომაც, თქვა მან, მშვიდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს შეიარაღების შეზღუდვისა და სამხედრო არსენალების შემცირებისათვის, რომლებსაც ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო საზოგადოებრიობა. ამ ინიციატივების კონკრეტულ საქმეებად ხორცშესხმა — ასეთია დღევანდელობის მთავარი ამოცანა.

როგორც მეცნიერი, თქვა მან, მტკიცედ ვილაშქრებ ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე მეტ საშიშროებას უქმნის კაცობრიობის არსებობას. არ უნდა დავიშუროთ ძალ-ღონე, რათა შევაჩეროთ დასავლეთში გაჩაღებული გამალებული შეიარაღება, შევქმნათ წანამძღვრები მშვიდობიანი მიზნით ბირთვული ენერგიის გამოყენებისათვის.

ლუანდა. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელიც კვლავაც განვითარდა სკკპ XXVI ყრილობაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები სავსებით შეესაბამება აფრიკის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, განაცხადა საქდესის კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ანგოლის საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და სოლიდარობის ლიგის პრეზიდენტმა დომინგუშ კოელიუ დი კრუშმა. ეს პოლიტიკა, თქვა მან, საიმედო ფარია იმპერიალიზმის მზარდი აგრესიულობის გზაზე.

მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ადგას გამალებული შეიარაღების ზრდის, მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღის შექმნის კურსს. შეერთებული შტატები, აღნიშნა დი კრუშმა, ყოველნაირ მხარდაჭერას უწევს რეაქციულ რეჟიმებს, ცდილობს ძირი გამოუთხაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წინსვლას პროგრესულ გარდაქმნათა გზით.

რომი. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის აგრესიული საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო ზრდის გამალებულ შეიარაღებას, ამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას, წერს იტალიური ჟურნალი „ლოტა პერ ლა პაჩე“, რომელსაც მშვიდობის ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტი უშვებს. უნდა ვიბრძოლოთ განიარაღებისათვის, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისათვის, წერს ჟურნალი, დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე ამერიკის ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ერთადერთ რეალურ შესაძლებლობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის შეიცავს სსრ კავშირის მიერ წამოყენებული მშვიდობისმოყვარული წინადადებანი.

გმობენ უხეშ ჩარევას

ბოტროპი. „ჩვენს დემოკრატიულ, პროლეტარულ მოვალეობად მიგვაჩნია ვამხილოთ ამერიკის ადმინისტრაციისა და ბონის მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეების ნამდვილი ზრახვები, რომლებიც პოლონელი ხალხის ქომაგებად ასაღებენ თავს. ჩვენ კვლავაც ასე მოვიქცევით, რადგან ამას საფუძვლად უდევს მშვიდობის საქმისათვის ჩვენი პასუხისმგებლობა, ბრძოლა ჩვენი საკუთარი ქვეყნის მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის“, განაცხადა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოტიემ რურის დიდ სამრეწველო ცენტრში ბოტროპში ვ. ი. ლენინის, კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის ხსოვნისადმი მიძღვნილ გერმანელთა კომპარტიის აქტივისტთა შეხვედრაზე.

გ. გოტიე შეეხო 30 იანვრისათვის ვაშინგტონში დანიშნულ ეგრეთ წოდებულ „პოლონეთთან სოლიდარობის დღეს“ და აღნიშნა: „რეიგანთან, პროფკავშირული მოძრაობის ისეთ მტრებთან ერთად როგორებიც არიან შტრაუსი, დრეგერი და კოლი, ამ ანტიკომუნისტურ სპექტაკლში მონაწილეობა მხოლოდ სერიოზულ ზიანს მიაყენებს მუშათა კლასის ინტერესებს“.

„სახალხო პოლონეთის მტრებს, სოციალიზმის მტრებს სულაც არ აუღიათ ხელი თავიანთ პროვოკაციებზე, თქვა შემდეგ გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ. — ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ნატოს წევრი მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კიდევ უფრო გაამწვავონ საერთაშორისო მდგომარეობა, გაართულონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელების მიღწევებს, პოლონეთში შექმნილი კრიზისი გამოიყენონ გამალებული შეიარაღებისა და მსოფლიო ბატონობის პრეტენზიების თავიანთი პოლიტიკის დასაჩქარებლად. „სანქციების“ პოლიტიკა, დიქტატის პოლიტიკა, რომელსაც რეიგანი ახორციელებს, ეწინააღმდეგება მშვიდობას, ხალხთა ეროვნულ ინტერესებს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ სხვა ქვეყნებს ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ღრმა კრიზისისა და მასობრივი უმუშევრობის პირობებში, ესაჭიროებათ თანამშრომლობა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ამიტომაც ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს პოლონეთის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ პოლონელ ხალხს, ამ ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, ნამდვილ კომუნისტებსა და პატრიოტებს, რომლებიც ცდილობენ გადალახონ სიძნელეები, იბრძვიან სოციალისტური წყობილების განმტკიცებისათვის და ამით მშვიდობის ინტერესებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში“.

ბონი. დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციამ — ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებამ — ანტიფაშისტთა კავშირმა მკაცრად გააკრიტიკა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უხეში ჩარევის ცდები, ვაშინგტონის მისწრაფება პოლონეთის მოვლენები საბაბად გამოიყენოს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებისათვის.

„ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია, ვაშინგტონის „სანქციები“, აგრეთვე ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბრიუსელის განცხადება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევაა, მათი მიზანია პოლონეთის ეკონომიკის, ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილებისათვის ძირის გამოთხრა და საბოლოო ანგარიშით პოლონეთში სოციალიზმის დამხობა“, — ნათქვამია ანტიფაშისტთა კავშირის აქ გავრცელებულ განცხადებაში.

ეს მოქმედება მიმართულია არა მარტო სუვერენული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგაც, რადგან ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესისათვის ძირის გამოთხრის, საერთაშორისო ვითარების გამწვავების საფრთხეს ქმნის, აღნიშნულია ნაციზმის დროს დევნილ პირთა—ანტიფაშისტთა კავშირის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალები პოლონეთის მოვლენებს საბაბად იყენებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, სამშვიდობო მოძრაობის წინააღმდეგ ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის“, „ცივი ომის აღორძინებისათვის“. ევროპის ხალხებმა მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ამერიკის ადმინისტრაციის ამ ცდებს, ნათქვამია განცხადებაში.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

26 იანვარი

ტექნიკის სიახლენი

რობოტი-დამხარისხებელი

სოფია. ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა შექმნეს თამბაქოს ფოთლების ელექტრონული რობოტი-დამხარისხებელი. რობოტის საცდელ ნიმუშს, რომელსაც „დელტაქრომი“ უწოდეს, ამჟამად წარმატებით ცდიან პლოვდივის „როდოპის“ თამბაქოს კომბინატის ექსპერიმენტულ საამქროში.

ეს მაღალმწარმოებლური აგრეგატი, რომელიც „ელექტრონული თვალითა“ და მინი-კომპიუტერით არის აღჭურვილი, თამბაქოს ფოთლებს ახარისხებს ფერის მიხედვით.

ბუნების ჭირვეულობა

გამძვინვარებული სტიქია

კანბერა. ძლიერმა წყალდიდობამ და უჩვეულო სიცხემ მოიცვა ავსტრალიის ვრცელი რაიონები. ხელისუფლების ცნობით, გამძვინვარებულმა სტიქიამ 18 კაცი იმსხვერპლა.

ვიქტორიის შტატში ტემპერატურამ 44 გრადუსამდე აიწია, რასაც ხანძრები მოჰყვა. დასავლეთ ავსტრალიაში უჩვეულო წყალდიდობაა. ერთ კვირაში ამ რაიონს სამმა ძლიერმა ციკლონმა გადაუარა. ათასობით მცხოვრები იძულებული გახდა მშობლიური ადგილებიდან აყრილიყო და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი.

ადელაიდასა და მის გარეუბნებში ყველა საავადმყოფო და ჰოსპიტალი სავსეა მზედაკრული ავსტრალიელებით. მათ შორის 50 მძიმე მდგომარეობაშია.

გამძვინვარებულმა სტიქიამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას.

სტატისტიკა

ამერიკელთა აზრით

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაციის ანტიხალხურ პოლიტიკას სულ უფრო მეტად აკრიტიკებენ ამერიკელები. ამას მოწმობს, კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს ჟურნალმა „ნიუსუიკმა“ მოაწყო. გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ, მათი აზრით, ადმინისტრაციის პოლიტიკამ დამღუპველი გავლენა მოახდინა შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონეზე. გამოკითხულთა კიდევ 21 პროცენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ რეიგანის მოსვლის დღიდან მას არაფერი გაუკეთებია ამერიკელთა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

● სუდანი

გაათავისუფლეს ვიცე-პრეზიდენტი

პარიზი. სუდანის პრეზიდენტმა ჯ. ნიმეირიმ ყველა პოსტიდან გაათავისუფლა პირველი ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი აბდელ მაჯიდა ჰამიდა ჰალილი. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს სუდანის საინფორმაციო სააგენტოს.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● კოპენჰაგენი

აქ დამთავრდა დანიის კომუნისტური პარტიის კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საოლქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების დაახლოებით 1400 დელეგატი, აგრეთვე ქვეყნის პროფკავშირების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის მშრომელთა ბრძოლის საკითხებს.

დელეგატებმა გადაჭრით დაგმეს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა.

● ტუნისი

ტუნისში მყოფი ლიბიის რევოლუციის ლიდერი მ. კადაფი ქალაქ გაბესში შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს მ. მზალის. შეხვედრის დროს განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის საინტერესო რეგიონის პრობლემები.

● ტოკიო

სამედიცინო დაწესებულებების მუშაკთა სრულიად იაპონიის ფედერაციის მე-20 ყრილობამ მიიღო მოწოდება გაიშალოს მოძრაობა ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის. ყრილობის მიერ მოწონებულ ამ ფედერაციის სამოქმედო პროგრამაში, რომელიც 40 ათას კაცს აერთიანებს, აღინიშნა, რომ ექიმები და მედიცინის მუშაკები სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ მშვიდობისათვის ბრძოლაში.

● ლუანდა

ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში მუშაობა დაიწყო კომისიამ, რომელიც იძიებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა დანაშაულს. რასისტები აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებენ ამ რეგიონის სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ. კომისიის წევრები ეწვევიან ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ პრეტორიის აგრესიის დროს დაზარალებულ ანგოლის სამხრეთ რაიონებს, გაეცნობიან აგრესიის შედეგებს, განსაზღვრავენ იმ ზარალის მასშტაბს, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკამ განიცადა.

● ვაშინგტონი

ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ბიზნესი მისთვის სასურველი პოლიტიკური მოღვაწეების საარჩევნო კამპანიებს ამიერიდან სრულიად შეუზღუდავად დააფინანსებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ. უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ დაადგინა ყველა ლიმიტი მოეხსნას თანხებს, რომლებიც არჩევითი თანამდებობის კანდიდატებს შეიძლება მისცენ ეგრეთ წოდებულმა „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტებმა“ — მონოპოლიების საფინანსო-პოლიტიკურმა ორგანოებმა.

● ლიბანი

ამზადებენ აგრესიას

ბეირუთი. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალთა თვითმფრინავები 24 იანვარს კვლავ თავხედურად არღვევდნენ ლიბანის რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს და პროვოკაციულ დაზვერვით ფრენას ახორციელებდნენ მის ტერიტორიაზე. „ფანტომები“ არაერთხელ გამოჩნდნენ ლიბანის ქალაქების ტირის, საიდის, ქვეყნის დედაქალაქ ბეირუთის თავზე. აგრესორის სამხედრო კატარღები იჭრებოდნენ ლიბანის ტერიტორიულ წყლებში.

ისრაელის სამხედრო პროვოკაციების საშიში ხასიათი აღნიშნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა შ. ვაზანმა. ყოველკვირეული „მანდი მორნინგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ ტელ-ავივი ემზადება შეიარაღებული აგრესია მოაწყოს სამხრეთ ლიბანში ამ რაიონის ანექსიის მიზნით.

შ. ვაზანი შეეხო ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს იგი ესწრაფვოდეს ლიბანში ვითარების „ნორმალიზაციას“ და დასძინა, რომ ლიბანელებს ეეჭვებათ ასეთი განცხადებების სერიოზულობა, რადგანაც ამერიკის შეერთებული შტატები მჭიდროდ არის დაკავშირებული ისრაელთან და სავსებით უჭერს მხარს მის აგრესიულ კურსს. ლიბანის კრიზისის მოწესრიგება, თქვა პრემიერ-მინისტრმა, შეუძლებელია, სანამ მთლიანად არ შეწყდება ლიბანის საშინაო საქმეებში გარედან ფართო ჩარევა.

ფოტოფაქტი

● პორტუგალია:

მშვიდობის მარში

ლისაბონში გაიმართა მასობრივი მშვიდობის მარში. 200 ათასმა მონაწილემ — სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პოლიტიკური შეხედულების ადამიანებმა პორტუგალიელი ხალხის სახელით განაცხადეს, რომ ესწრაფვიან მშვიდობასა და ხალხთა შორის მეგობრობას, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას. ამ ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელიც მოუწოდებს ყველა კეთილი ნების ადამიანს გააქტიუროს ბრძოლა მშვიდობისათვის.

საქდესის ფოტო.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი



1982 წლის 25 იანვარს სამოცდაცხრამეტი წლისა ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. მან მთელი სიცოცხლე, მთელი ძალღონე და ცოდნა, მთელი ნიჭი შეალია პარტიისა და ხალხის სამსახურს.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი დაიბადა 1902 წლის 21 ნოემბერს ულიანოვსკის ოლქის პავლოვკის რაიონის სოფელ შახოვსკოეში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ჭაბუკობიდანვე ოქტომბრის რევოლუციის იდეებმა და საქმემ განსაზღვრეს მისი ცხოვრების გზა. 1918-1920 წლებში, როცა ღარიბთა კომიტეტში, სამაზრო კომკავშირულ ორგანიზაციაში მუშაობდა, იგი აქტიურად ჩაება ახალი საზოგადოების შექმნისათვის, მშრომელთა უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

1921 წელს მ. ა. სუსლოვი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. სასწავლებლად მოსკოვში მივლინებულმა მ. ა. სუსლოვმა 1924 წელს დაამთავრა პრეჩისტენსკის მუშფაკი, ხოლო 1928 წელს —მოსკოვის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი. შემდეგ სწავლობდა წითელი პროფესურის ეკონომიკის ინსტიტუტში და ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამრეწველო აკადემიაში.

1931 წელს მ. ა. სუსლოვი პარტიამ სამუშაოდ გაგზავნა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატში და მას შემდეგ მუდამ შრომობდა პარტიული და სახელმწიფო საქმიანობის პასუხსაგებ უბნებზე. 1937-1939 წლებში მ. ა. სუსლოვი პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, შემდეგ კი მდივანია. 1939-1944 წლებში ნკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანია.

დიდი სამამულო ომის წლებში მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი მთელ ძალებს ახმარდა მტერზე გამარჯვების საქმეს. იყო რა სტავროპოლის პარტიზანული რაზმების სამხარეო შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

1944-1946 წლებში მ. ა. სუსლოვი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტვის სს რესპუბლიკის ბიუროს თავმჯდომარეა, რომელიც დახმარებას უწევდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ომის შედეგების ლიკვიდაციის, ლიტვაში საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეში.

1946 წლიდან მ. ა. სუსლოვი მუშაობდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. პარტიის XVIII ყრილობაზე იგი აირჩიეს ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში. XVIII სრულიად საკავშირო პარტიულ კონფერენციასა (1941 წელი) და პარტიის ყველა მომდევნო ყრილობაზე მას ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1947 წლიდან მ. ა. სუსლოვი უცვლელად მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1949-1950 წლებში ერთდროულად იყო გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი.

1952-1953 და 1955-1966 წლებში მ. ა. სუსლოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია, 1966 წლიდან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

1941 წელს მ. ა. სუსლოვი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში და იყო მისი ყველა მოწვევის დეპუტატი. 1950-1954 წლებში იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1954 წლიდან კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე იყო.

ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის მიუნდვიათ კომუნისტურ პარტიასა და ხალხს, მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი თავს ავლენდა როგორც გამოჩენილი ორგანიზატორი, ლენინის დიადი საქმისათვის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის უდრეკი მებრძოლი. როგორც პარტიის გამოჩენილმა თეორეტიკოსმა, მან ბევრი რამ გააკეთა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარებისათვის, მტკიცედ იცავდა მის სიწმინდეს. მან დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა რაზმთან ჩვენი პარტიის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში. მის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ძმური სოლიდარობის განმტკიცების, მშვიდობის საქმისათვის ჩვენი ქვეყნის ბრძოლის საკითხებს.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი გამოირჩეოდა ბოლშევიკური პრინციპულობით, მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და სხვებისადმი, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, უნარით შემოქმედებითად მისდგომოდა თანამედროვეობის მწვავე და რთულ საკითხებს. როგორც დიდბუნებოვანმა, კრისტალური ზნეობრივი სისპეტაკით, განსაკუთრებული თავმდაბლობით დაჯილდოებულმა ადამიანმა, მან დიდი პატივისცემა მოიხვეჭა პარტიასა და ხალხში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მ. ა. სუსლოვს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო ხუთი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და I ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, სსრ კავშირის ბევრი მედლით. იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე მთელი რიგი მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების ჯილდოებით.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის, პარტიის ერთგული შვილის, ბოლშევიკ-ლენინელის ნათელი ხსოვნა, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, მარად დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, ბ. თ. სიზოვი, ი. ვ. არხიპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, გ. ი. მარჩუკი, ე. ტ. ნოვიკოვი, ნ. ვ. მარტინოვი, ა. კ. ანტონოვი, ი. ი. ბოდიული, ბ. ე. დიმშიცი, კ. თ. კატუშევი, ლ. ა. კოსტანდოვი, ვ. ნ. მაკეევი, ზ. ნ. ნურიევი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ვ. ტალიზინი, მ. ა. იასნოვი, მ. პ. გიორგაძე, ა. პ. შიტიკოვი, ვ. პ. რუბენი, ა. პ. ალექსანდროვი, ა. ი. შიბაევი, ბ. ნ. პასტუხოვი, გ. ს. პავლოვი, კ. მ. ბოგოლიუბოვი, ე. მ. ტიაჟელნიკოვი, ს. პ. ტრაპეზნიკოვი, ნ. მ. პეგოვი, ნ. ა. პეტროვიჩევი, გ. მ. მარკოვი, ტ. ნ. ხრენიკოვი, ლ. ა. კულიჯანოვი, ნ. ა. პონომარიოვი, ი. მ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზიმნევი, ვ. ს. მურახოვსკი, ვ. კ. გუსევი, ე. თ. მურავიოვი, ე. ი. ჩაზოვი, ი. თ. სოლოვიოვი, ი. ი. პროკოფიევი, ა. მ. შკოლნიკოვი, ს. ვ. კლეიმენოვი, ი. ა. ბონდარენკო, პ. პ. გრიშკიავიჩუსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

მთავრობის კომისია იუწყება, რომ განსვენებულ მ. ა. სუსლოვთან გამოსათხოვებლად კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესვლა შეიძლება 28 იანვარს 10 საათიდან 18 საათამდე და 29 იანვარს დილის 9 საათიდან 11 საათამდე.

სამედიცინო დასკვნა

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზის შესახებ

მ. ა. სუსლოვი, 79 წლისა, დიდხანს იყო ავად შაქრის დიაბეტის ფონზე განვითარებული საერთო ათეროსკლეროზით. მას უპირატესად დაზიანებული ჰქონდა გულისა და ტვინის სისხლძარღვები. 1976 წელს მან გადაიტანა მიოკარდის ინფარქტი. 1982 წლის 21 იანვარს წარმოიქმნა სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა ტვინის ღეროს სისხლძარღვებში, რასაც თან ახლდა გონების ღრმა დაკარგვა, სუნთქვისა და ორგანიზმის ზოგიერთი სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის დარღვევა. ჩატარებული თერაპიის მიუხედავად, მდგომარეობა უარესდებოდა: ძლიერდებოდა გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის მოვლენები, დაირღვა ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციები.

25 იანვარს 16 საათსა და 05 წუთზე შეწყდა გულისცემა.

პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევის დროს დიაგნოზი მთლიანად დადასტურდა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ე. ჩაზოვი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ე. შმიდტი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. კონოვალოვი; პროფესორი რ. ტკაჩოვი; პროფესორი ი. მარტინოვი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. პოკოვი; მკურნალი ექიმი ლ. კუმაჩოვი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. პოსტნოვი.

მიწათმოქმედებას — მაღალი კულტურა!

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს 39 კოლმეურნეობასა და ექვს საბჭოთა მეურნეობაში შეისწავლა თესლბრუნვის დანერგვის სამუშაოთა მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მთელი რიგი მეურნეობების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ჯეროვნად არ აფასებენ თესლბრუნვის როლს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაში, სტაბილური მოსავლის მიღებაში. მაგალითად, დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მიერ მომზადებული შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია რვა თესლბრუნვის დანერგვა. მაგრამ არც ერთი მათგანი არ დანერგილა. ამ მეურნეობის კონტილის აგროუბანში თესლბრუნვის გეგმის მიხედვით მრავალწლოვან ბალახებს უნდა დაეკავებინა ორი მინდორი, სიმინდს — ერთი, საშემოდგომო ქერს — სამი მინდორი. ფაქტობრივად კი ყველა მინდორში მრავალწლოვანი ბალახებია დათესილი.

სოფელ კობიანთკარის აგროუბანში თესლბრუნვა უნდა შემოეღოთ შვიდ მინდორზე, აქედან ორში უნდა დაეთესათ მრავალწლოვანი ბალახები. ორი უნდა დაეკავებინა სათოხნ კულტურებს, თითო—საშემოდგომო ხორბალს, ერთწლოვან ბალახსა და საშემოდგომო ქერს. ფაქტობრივად ყველა მინდორზე დაითესა საშემოდგომო ხორბალი, ერთზე კი სიმინდი და ნიორი. ასეთივე მდგომარეობაა სოფლებში ამილახვრიანთკარში, პირმისაანსა და უნდილაანთკარში, ბაზალეთის მეცხოველეობის კომპლექსისა და სოფელ მლაშეს კოლმეურნეობის მინდვრებში მიწებზე, სადაც მრავალწლოვანი ბალახები უნდა დათესილიყო, ყველგან სხვა ერთწლოვანი კულტურები დაითესა.

მჭადიჯვრის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში პროექტით გათვალისწინებული იყო ორი საკვები და ორი ბოსტნეული თესლბრუნვის დანერგვა, მაგრამ ამ კულტურების ნათესების მონაცვლეობა დაირღვა.

მცხეთის რაიონის წილკნის საექსპერიმენტო საბჭოთა მეურნეობაში შიდასამეურნეო მიწათმოწყობის სამუშაოები თესლბრუნვის შემოსაღებად განხორციელდა

თესლბრუნვა სტაბილური მოსავლის გზაა

1976 წელს. მაგრამ მეურნეობებში დაირღვა მინდვრად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების მონაცვლეობა. არ გაუშენებიათ ტყესაფარი ზოლები, ჯერაც არ დაუმთავრებიათ სამელიორაციო და საგზაო სამუშაოები, რომლებიც ჯერ კიდევ 1980 წელს უნდა დამთავრებულიყო.

თესლბრუნვის ათვისების მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, ხაშურის, თერჯოლისა და სამტრედიის რაიონებში.

სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ბაზაზე. ეს პროგრამა კი ითვალისწინებს აგროღონისძიებათა კომპლექსის სრულფასოვან მოწყობას, რომლის შემადგენელი ნაწილია თესლბრუნვების დანერგვა. სწორედ თესლბრუნვის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კულტურების მოვლა-მოყვანის აგრონომიული გეგმები.

საჭიროა ძირეულად გადაისინჯოს თესლბრუნვებისადმი დამოკიდებულება. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტების განხორციელებას, მიზანშეწონილია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღდგეს თესლბრუნვების დანერგვის განყოფილება. რესპუბლიკის მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტმა, ჩვენი აზრით, უფრო აქტიურად უნდა ადევნოს თვალი თესლბრუნვების დანერგვას ყველა მეურნეობაში.

ალბათ, ყველაზე მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმ სპეციალისტებს (მიწათმომწყობებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მელიორატორებს, ნიადაგმცოდნეებს, ეკონომისტებსა და სხვებს), რომლებიც დიდძალ სახსრებს ახმარენ თესლბრუნვის ათვისებას და თავად ღალატობენ? ღვევენ მათ.

ვ. მაჭარაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი. (საქინფორმი).

ინსტიტუტის იუბილე

მეოთხედი საუკუნე სოფლის მეურნეობის სამსახურში

ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი საქართველოს კ. მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მეოთხედი საუკუნის წინათ აქ სულ ორმოცდახუთი კაცი მუშაობდა. ახლა ინსტიტუტში თითქმის ორასი მეცნიერი თანამშრომელია.

— მრავალმხრივია ინსტიტუტის საქმიანობა, — თქვა საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ი. ხოხლოვმა, რომელმაც გახსნა ამ სამეცნიერო დაწესებულების დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. საქვეყნოდ ცნობილი ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ გარდა, აქ შეიქმნა სხვა დიდადეფექტიანი მოწყობილობანი, აგრეგატები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ზ. ხანთაძემ.

საზეიმო სხდომაზე იუბილარებს გულთბილად მიულოცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ვ. მეტრეველმა და სხვებმა (საქინფორმი).

მინდორი–ქარხანა: ერთიანი კომპლექსი

რაიონული რგოლი

1. რა გვიჩვენა ექსპერიმენტმა

ამბობენ, სიკეთისათვის სიკეთეს არ მოელიან. როცა გ. წითლიძემ, სოფელ ნატანების რესპუბლიკაში ცნობილი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, შეიტყო, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ნაცვლად რაიონში გაერთიანება იქმნება, საკმაოდ მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. გაგონილი ჰქონდა, რომ შორიახლოს განლაგებულ აბაშის რაიონში ამგვარი ექსპერიმენტი სასარგებლო აღმოჩნდა. ალბათ, მათთანაც, მახარაძეშიც გამართლდეს... მაგრამ როცა გამოირკვა, რომ ახალი „კანტორის" საჭიროებებისათვის მოგების ნაწილის გადარიცხვა მოუხდებოდათ, წითლიძე შეშფოთდა. თუმცა კოლმეურნეობა მდიდარია — წლიწადში ექვსი მილიონი მანეთი შემოსავალი აქვთ, მაინც რა საჭიროა ზედმეტი ხარჯები? თავისი ეჭვები გაუზიარა მეზობელს — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხაკო ორაგველიძეს. მიხაკო, გამოცდილი ხელმძღვანელი, ნახევარი საუკუნეა ეს რთული თანამდებობა უჭირავს, აგრეთვე არ იყო დარწმუნებული საჭიროა თუ არა ახალი სამსახური, რომელსაც უნდა „ხარკი" უხადო. ეეჭვებოდათ გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებსაც: რატომ უნდა დავუქვემდებაროთ მრეწველობა სასოფლო-სამეურნეო ორგანოს? ზედმეტი დავიდარაბის გარდა, არაფერი არ მოგვიმატება.

ეჭვი იქით იყოს. სამი წლის წინათ მაინც შეიქმნა მახარაძის რაიონში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება. აი, რას ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი.

— მახსოვს, მაშინდელ რაიკომის პირველ მდივანთან დ. დვალიშვილთან ერთად (მე რაიაღმასკომის თავმჯდომარე გახლდით) წავედით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს მიეძღვნა. მანამდე კი ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი თხოვნით მივმართეთ: ასეა და ასე, ჩვენი რაიონი სუბტროპიკულია, ციტრუსი და ჩაი ყოველწლიურად ოც მილიონ მანეთ მოგებას გვაძლევს. სამაგიეროდ მეცხოველეობის საქმე ვერ რა გვაქვს კარგად, მთლიანად ზარალიანია. წინადადებას გაძლევთ თითქმის ერთიორად შევამციროთ პირუტყვის სულადობა.

თბილისიდან რომ დავბრუნდით, სულ სხვა ჭკუაზე დავდექით. უკან წავიღეთ ჩვენი თხოვნა. მივხვდით, რომ რძისა და ხორცის წარმოების არავითარ შემცირებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. პირიქით, გვეძლეოდა ამოცანა — მკვეთრად გაგვედიდებინა ამ პროდუქციის დამზადება. როგორ შევასრულოთ პარტიული გადაწყვეტილება?

ყველაფერი საკვებზე იყო დამოკიდებული. თავისუფალი მიწა არ გვქონდა. ერთადერთი იმედი სავარგულების ძირეული გაუმჯობესება და, მაშასადამე, მელიორატორები იყვნენ. მაგრამ ისინი უფრო ხელსაყრელ სამუშაოს ირჩევენ. ვთქვათ, დაჭაობებულ დაბლობში პალიასტომის ტბის მახლობლად, მათ, როგორც იტყვიან, სახრითაც ვერ შერეკავ. აქაოდა, იქ ტექნიკა ცუდად მუშაობსო.

მეურნეობათა ძალებით დააშრონ? მაგრამ როგორ გააერთიანონ ისინი, ეს ძალები? თუ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობებთან შეთანხმება ადვილია, სულ სხვაა საბჭოთა მეურნეობები. აქ ლამის ყოველი მეურნეობა თავის ტრესტსა და გაერთიანებას ექვემდებარება თბილისში. ხანდახან მათ ტრაქტორები უქმად უდგათ, მეზობლებს კი ამ დროს უჭირთ. თითქოსდა, უნდა დაეხმარონ, მაგრამ ტრესტის უფროსობა წინააღმდეგია. თქვენი უწყების საბჭოთა მეურნეობას დაეხმარეთო. ისინი კი ზოგჯერ ორას კილომეტრზე არიან...

მეურნეობებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის გაუგებრობანიც უამრავია. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ცდილობენ გაზარდონ ჩაის ფოთლის დამზადება. მეათე ხუთწლედის მანძილზე ყოველწლიური მოსავლიანობა 35 ათასი ტონით გაიზარდა. ფაბრიკების სიმძლავრე კი მხოლოდ 14 ათასი ტონით გადიდდა. წლითიწლობით იზრდება ხილის წარმოება, მაგრამ მეთაური საკონსერვო ქარხანა არ ფართოვდება. ჰოდა, მრავალი ტონა მანდარინი, ვაშლი გადაუმუშავებელი რჩება. სწორედ აქედან მომდინარეობს დანაკარგები.

ერთი სიტყვით, პარტნიორთა დაქსაქსულობა ხელს უშლიდა წარმოებას, აწელებდა ზრდის ტემპს.

— ძალაუნებურად, — განაგრძობს ო. თენეიშვილი, — ჩვენც ისევე, როგორც მეზობლებმა, აბაშელებმა, დავასკვენით — საჭიროა ძირფესვიანად შევცვალოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურა. ამიტომაც, მივმართეთ მათს გამოცდილებას.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება აბაშელებმა ჯერ კიდევ 1974 წელს შექმნეს. თავისთავად სახელწოდება არაფერს არ გვეუბნება. ვის გააკვირვებ დღეს სიტყვით „გაერთიანება"? აბაშელებმა კი გააკვირვეს. მეათე ხუთწლედის დამლევისათვის თითქმის ერთიორად მეტი პროდუქციის მოცემა დაიწყეს. წამყვანი კულტურის — სიმინდის მოსავალი გაიზარდა ხუთჯერ, ბოსტნეულისა — რვაჯერ. ოთხჯერ მეტ ხორცს, ორჯერ მეტ რძეს აწარმოებენ.

არადა, რაიონი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო რესპუბლიკაში. ჰექტარზე იღებდნენ 12 ცენტნერ სიმინდს, ძროხის წველადობა 1500 კილოგრამ რძეს ძლივს აღწევდა. ახლად არჩეულმა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მგელაძემ მაშინვე იგრძნო, რაიონში სასოფლო წარმოებას საერთო პატრონი არა ჰყავს. რაიონული სასოფლო-სამეურნეო სამმართველო? სახსრები ცოტა აქვს. საბჭოთა მეურნეობები მას არ ექვემდებარება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მელიორატორები, მშენებლებიც, აგრეთვე თითქოსდა თავის-თავისთვის არიან მიშვებულნი. ეტყობა, შემთხვევითი არ არის, რომ ყველა, ყველაზე წვრილმან სამეურნეო საკითხებზეც კი ხალხი რაიკომში მიდიოდა.

ჰოდა, აბაშელებმა გაბედეს ექსპერიმენტი — შექმნეს მართვის ერთიანი ორგანო. მოუხდათ საუწყებო ბარიერების მსხვრევა. ბევრი წინააღმდეგი იყო. ზოგიერთ რესპუბლიკურ სამინისტროში ამბობდნენ: მართვის ჩამოყალიბებული სპეციალიზაცია დაირღვა, წარმოებას ზარალი მოუვაო. მაგრამ იდეას დროულად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, დახმარება გაუწიეს აბაშელებს. გაერთიანებაში შევიდა ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, მათი მომსახურე ორგანიზაცია. რაიონული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მმართველი გახდა ამავე დროს გაერთიანების ხელმძღვანელის მოადგილე. მანამდე იგი მარტო ტექნიკის კაპიტალურ რემონტზე ფიქრობდა. მაგრამ, როცა დააკისრეს პასუხისმგებლობა მექანიზმების მდგომარეობისა და ექსპლოატაციისათვის, მიხვდა: საჭირო არ არის მანქანების ასე ხშირი შეკეთება. ჰოდა, იძულებული გახდა მიემართა რესპუბლიკის უწყებისათვის თხოვნით — შემიმცირეთ კაპიტალური რემონტის დავალებანი...

...დაწვრილებით, გულდაგულ სწავლობდნენ მახარაძელები აბაშელთა გამოცდილებას. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა, ამჟამად რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა, ბევრი იანგარიშა, სანამ საუკეთესო ვარიანტს გამონახავდა. მეურნეობანი, ისევე როგორც მეზობლებთანაც, გადავიდნენ გაერთიანებაში: 24 კოლმეურნეობა და 5 საბჭოთა მეურნეობა. უფრო რთული იყო რაიონული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მელიორატორების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებლებისა და გადამამუშავებლების (მარტო ჩაის ფაბრიკა რაიონში თხუთმეტია) ბედის განსაზღვრა. გადაწყვიტეს არ მოეწყვიტათ ისინი რესპუბლიკური სამსახურებისაგან, ორმაგი დაქვემდებარება შეუქმნეს: საკუთარი უწყებისა და რაიონული გაერთიანებისადმი. წინანდებურად აქ თბილისიდან მოდის ფონდები, ხორციელდება ტექნოლოგიური ხელმძღვანელობა, მაგრამ დაგეგმვის წესი შეცვლილია. დავალებებს აუცილებლად გაერთიანება ამტკიცებს. უპირველესად სად აწარმოონ მელიორაცია, როგორ შეიტანონ სასუქები, როგორ გამოიყენონ უფრო ეფექტიანად მშენებელთა ძალები — ყოველივე ამას ადგილზე წყვეტენ.

გაერთიანებაში შექმნილია საბჭო, რომელიც განიხილავს დაგეგმვის, მშენებლობისა და გადამუშავების საკითხებს. ერთი სიტყვით, კოლექტივების — თავისებური კოოპერაციის წევრების საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს.

— ურთიერთობის მოგვარება გაადვილდა, — ამბობს საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტაკიძე. — მაგრამ მხოლოდ ორგანიზაციული ღონისძიებანი არ კმაროდა. საჭირო იყო ეკონომიკური ბერკეტები.

კაპიტალური დაბანდებები რაიონში უამრავი არხით მოდიოდა. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ისინი მოდის მხოლოდ გაერთიანების საშუალებით. მათი პარტნიორები კი ძველებურად იღებენ რესურსებს თავიანთი უწყებებისაგან. და თუმცა გეგმებს გაერთიანებას უთანხმებენ, რაიონს ჯერჯერობით არ შეუძლია მთლიანად განაგოს მთელი სახსრები. ერთგვარი დისპროპორციები შემორჩა აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში. ვთქვათ, გადამამუშავებელი საწარმოები აშკარად არასაკმარის ფულს იღებენ და ჯერჯერობით ყველაზე სუსტ რგოლად რჩებიან. როგორ მოიქცნენ აქ?

ისე მოხდა, რომ მახარაძესა და აბაშაში ერთდროულად ეძებდნენ პასუხს ამ კითხვაზე. და მივიდნენ ერთ დასკვნამდე: გაერთიანებას საკუთარი ფულადი სახსრები უნდა ჰქონდეს. სად იშოვონ ისინი? მეურნეობებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან უნდა გადარიცხონ გარკვეული ნაწილი საერთო ყულაბაში მთელი კომპლექსის საჭიროებებისათვის. მართალია, პარტნიორთა ფინანსური კეთილდღეობა და წარმოების პირობებიც ერთნაირი არ არის. საბჭო ამას ითვალისწინებს და გადარიცხვების სხვადასხვა ოდენობას აწესებს.

ხუთი მილიონი მანეთი იყო გაერთიანების „ყულაბაში", როცა მისი საბჭო პირველად შეიკრიბა, რათა გაენაწილებინა ცენტრალიზებული ფონდები. თუმცა, სიტყვა „განაწილება" ზუსტად არ ასახავს იმის აზრს, რაზეც მუშაობდნენ იმ სამახსოვრო დღეს. უნდა გადაეწყვიტათ, უწინარეს ყოვლისა სად და რა აეშენებინათ აგროკომპლექსისათვის. წინათ საკითხი არასოდეს არ დასმულა ესოდენ მასშტაბურად და ფართოდ, ყველა პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით.

მაშინ ყველაზე ვიწრო ადგილი იყო მეცხოველეობა. საბჭოს წევრთა ერთიანი შეთანხმებით „ყულაბის" ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა მერძევეობის სამეურნეობათაშორისო კომპლექსის მშენებლობას. სახსრები გამოჰყვეს სასუქებელი პუნქტის, ხელოვნური რძის საამქროს მშენებლობისთვისაც, მეფრინველეობის გაერთიანების ბაზის რეკონსტრუქციისათვის, სამელიორაციო სამუშაოებისათვის. დანახარჯები სწრაფად ანაზღაურდა. სამი წლის მანძილზე რაიონში ხორცის წარმოება ერთიორად გაიზარდა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის მეათე ხუთწლედის დავალება: 11,4 ათასი ტონის ნაცვლად დამზადდა 14 ათასი ტონა რძე.

და კვლავ წამოიჭრა პრობლემა: სად იშოვონ აგური, ბეტონი. ისევ „ყულაბამ" უშველა საქმეს. მისი სახსრებით ააგეს აგურის ქარხნები, ადგილობრივ სამშენ მასალათა კომბინატი, რომლებიც უკვე იძლევიან პროდუქციას.

შემდეგ. ფაბრიკები თავს ვერ ართმევდნენ ჩაის გადამუშავებას. ეს იწვევდა მისი ხარისხის გაუარესებას, აფერხებდა მეურნეობებში ნედლეულის კრეფის ტემპს.

გაერთიანებამ გამოყო სახსრები ზოგიერთი საწარმოს რეკონსტრუქციისათვის: მაგალითად, ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე მეორე ჩაის ფაბრიკაში აშენებენ საამქროსაც, პროდუქციის შესანახ საწყობსაც. შარშან აქ გადაამუშავეს ათასი ტონით მეტი ნედლეული, ვიდრე უწინ. ეს საწარმოს ხელს აძლევს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს? მათ მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს და დამატებით მილიონი მანეთი მოგება მიიღეს.

ფაბრიკების სიმძლავრის გადიდება კიდევ უფრო შეიძლება. მაგრამ ხელფასი აქ სხვა წარმოებებთან შედარებით დიდი არ არის, ხალხი აქ უხალისოდ მოდის. ყულაბამ აქაც უშველა საქმეს. შარშან ფაბრიკებს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან პრემიებისა და სხვა მისაცემლებისათვის გამოეყოთ 960 ათასი მანეთი. გაიზარდა გამომუშავება, გაქრა კადრის დეფიციტი. იმავე სიმძლავრეებით გადაამუშავეს 87 ათასი ტონა ფოთოლი — უწინდელზე მნიშვნელოვნად მეტი. სახელმწიფომ მიიღო 10,5 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია, ხოლო კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — ცხრა მილიონი მანეთი შემოსავალი.

მეურნეობებში, ასევე გაერთიანების ხარჯზე, აშენებენ პატარ-პატარა ფაბრიკებსაც, სანედლეულო ბაზასთან რომ უფრო ახლოს იყოს. მცირდება მანძილი საწარმომდე. ეს მკვეთრად ამცირებს დანახარჯებს, ტრანსპორტის დატვირთვას, განსაკუთრებით „პიკის" სეზონში, საშუალებას იძლევა დააჩქარონ ჩაის ფოთლის კრეფა და გადამუშავება, თავიდან აიცილონ მრავალი დანაკარგი. უკვე მოქმედებს დღეღამეში 20-25 ტონა პროდუქციის სიმძლავრის რამდენიმე ჩაის მიკროფაბრიკა: გასულ სეზონში სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობაში მოქმედმა ასეთმა ფაბრიკამ, მაგალითად, ათას ტონაზე მეტი ჩაი გამოუშვა.

გახსოვთ, როგორ ღელავდა წითლიძე ახალი გაერთიანების სასარგებლოდ კოლმეურნეობის მოგებიდან გადარიცხვების გამო? გაიფანტა თავმჯდომარის ეჭვები.

— ერთი შეხედვით, ჯერჯერობით ცენტრალიზებული ფონდიდან ჩვენ ნაკლები მივიღეთ, ვიდრე დავაბანდეთ, — ამბობს გივი წითლიძე, — ფაქტობრივად კი სარგებლობა უზარმაზარია. იგივე ფაბრიკები უკეთ მუშაობენ, უფრო მეტ ნედლეულს იღებენ. ამის წყალობით დამატებით ასიათასობით მანეთს ვიღებთ.

...ჩაის ბუჩქი ზამთარში ყვავის. ნაზი და თითქმის გამჭვირვალეა ყვავილის თეთრი ფურცლები. მწვანე პლანტაციები, რომლებსაც დათოვლილი მწვერვალები შემოსჯარვიან, ახლა ისვენებენ. მაგრამ მალე დაიწყება ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. იგი ხუთ-ექვს თვეს გასტანს. მიკროფაბრიკები კი თითქმის მთელი წლის განმავლობაში იმუშავებენ: ჩაის შემდეგ წამოვა ციტრუსები. მეთაურ საკონსერვო ქარხანაში როგორც კი ხილის გადამუშავების სეზონი მთავრდება, საქმეში ებმება ჩაის კონცენტრატების გამომშვები საამქრო.

წინათ, როცა ჩაი და კონსერვები სხვადასხვა უწყებას ექვემდებარებოდა, ერთ საწარმოში მათ გადამუშავებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ახლა რაიონული გაერთიანება ცდილობს მაქსიმალური უკუგებით გამოიყენოს გადამამუშავებელი სიმძლავრეები. და კონსერვის ქარხანაში ჩაის კონცენტრატების იგივე საამქრომ შარშან თითქმის მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

როგორც ვხედავთ, კარგად აქვთ საქმე მახარაძელებსა და აბაშელებს. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ამოცანა არ არის გადაწყვეტილი. მაგალითად, მახარაძის რაიონში შექმნილია მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საწარმო. ამას წინათ გ. წითლიძეს უთხრეს: დროა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაც შევიდეს ამ საწარმოში.

— რა გვეჩქარება, ჯერ მოვიფიქრებ, — უპასუხა მან.

მაინც რა აწუხებს თავმჯდომარეს? ამაზე და გაერთიანების ზოგიერთ სხვა პრობლემაზე მომდევნო სტატიაში ვისაუბროთ.

2. ძიება გრძელდება

დიახ, რაიონული რგოლის გარდაქმნა დაეხმარა მახარაძელებს, რომ საგრძნობი წარმატება მოეპოვებინათ. და როცა მიხაკო ორაგველიძემ, უხუცესმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რაიონული პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან იკითხა: „ვის უნდა ვუთხრათ დღეს უდიდესი მადლობაო?" — და თვითონვე გასცა პასუხი: „აბაშელებს. იმისათვის, რომ პირველნი დაადგნენო გაუკვალავ გზას", — დარბაზში ტაში იქუხა. გულწრფელად უკრავდა ტაშს გივი წითლიძეც, თუმცა, ისევე როგორც ყველამ, იცოდა, ჯერ კიდევ რა ბევრი რთული ამოცანაა გადასაწყვეტი.

განსაკუთრებით აწუხებდა მას წარმოების მომსახურე ორგანიზაციების მუშაობა. უწინარესად — სოფლტექნიკისა. მართალია ეს ორგანიზაცია შევიდა რაიონულ გაერთიანებაში, მისი მმართველი მ. კვირკველია საბჭოს წევრი გახდა, გამგეობაშიც აირჩიეს, ორგანიზაციის სახსრები ცენტრალიზებულ ფონდებში გადაირიცხება, მაგრამ ჯერჯერობით. იგი მაინც მოწყვეტილია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ეტყობა, მათს რაიონში სწორედ ამიტომ წამოაყენეს წინადადება შეექმნათ მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეურნეობათაშორისო საწარმო, გადაეცათ მისთვის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მექანიზატორები, მანქანები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო ბაზა, სოფლტექნიკის რაიონული გაერთიანებანი, რათა სამეურნეობათაშორისო საწარმოს პასუხი ეგო ტექნიკისთვისაც — მეურნეობებში მისი მუშაობისათვის, და პროდუქციის წარმოებისთვისაც.

დაახლოებით ასეთივე რამ მანამდე, 1978 წელს, აბაშელებმა გამოიყენეს. აბაშის რაიონში სოფლტექნიკა აწარმოებს რემონტსაც, მინდვრად მექანიზებულ სამუშაოებსაც. მაგრამ იქ სხვაგვარი პირობებია, პატარ-პატარა მეურნეობებია. თხუთმეტივე კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სამასზე ნაკლები ტრაქტორი, ორმოცდაათიოდე სიმინდის ასაღები კომბაინი აქვთ. ზოგან სულ ხუთი-შვიდი ტრაქტორი ჰყავთ. თითოეულ მეურნეობაში მაგარი საექსპლოატაციო და სარემონტო სამსახურის შექმნა რთულია, და საერთოდ საეჭვოა მიზანშეწონილი იყოს, პარკს თავი მოუყარეს ოთხ ზონაში და მთელი მექანიზატორული სამსახური სოფლტექნიკას გადასცეს. და მიზნისათვის რომ „მიემაგრებინათ", დაინტერესეს საბოლოო შედეგით: სოლიდურ დამატებით ანაზღაურებას და პრემიებს, მათ შორის ნატურალურსაც, აძლევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებული კარგი მოსავლისათვის.

ბევრი რამ მოიგეს აბაშელებმა ტექნიკის კონცენტრაციით. ეს კარგად ჩანს აქაური მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მაგალითით. აბაშის გაერთიანებაში იგი სამი ჩამორჩენილი კოლმეურნეობისაგან შექმნეს და პირველი სიძნელე, რომელსაც ახალი საწარმო გადააწყდა, — ეს იყო საკვების ნაკლებობა. მისი დროული დამზადებისათვის საკუთარი ტექნიკა არ ჰყოფნიდათ. ხდებოდა ხოლმე, ჩამოვლიდა აქ სილოსის გახურებული დამზადების დროს, მინდვრად კი სიჩუმეს დაისადგურებინა. თითზე ჩამოსათვლელი იყო ტრაქტორები. ახლა კი მიწა გუგუნებს.

— ერთბაშად ოთხმოცი ტრაქტორი მოგვეცეს. რამდენიმე დღეში ჩავდეთ ათი ათასი ტონა სილოსი, — გვეუბნება საწარმოს უფროსი დირექტორი, ამჟამად რაიონის სოფლის მეურნეობის გაერთიანების თავმჯდომარე ო. ცომაია, — წინათ ამდენი სილოსი მთელ რაიონს არ დაუმზადებია.

მაგრამ მასვე მოჰყავს სხვა ფაქტებიც. მინდვრად ახლა ხშირია კონფლიქტები აგრონომიულ და მექანიზატორულ სამსახურებს შორის.

აი, ეს მასივი, — ამბობს ოთარ ცომაია, — კარგად არ იყო დამუშავებული. მეორედ მოგვახნევინეს.

ის, რომ სასოფლო წარმოებას ძირითადი ტექნოლოგიური სამსახურები სხვადასხვა ორგანიზაციაებში აღმოჩნდა, ყველაზე მეტად აშფოთებდათ მახარაძელებსაც. სამეურნეობათაშორისო საწარმოში ჯერჯერობით ექვსი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობისათვის საკვების დამამზადებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო და სოფლტექნიკის რაიონული გაერთიანების ნაწილი შევიდა.

ერთი მხრივ, თითქოს ყველაფერი რიგზეა. სამეურნეობათაშორისო საწარმოში, რომელიც სოფლტექნიკას ექვემდებარება, სამუშაოთა მოცულობანი იზრდება. მეორე მხრივ, ჯერჯერობით ბევრი რამ არის მოუგვარებელი.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში ძირითადი კულტურა ჩაია. ათი განყოფილება, ანუ, როგორც უწოდებენ, აგრორაიონი. საწარმოო ბრიგადებში შედიოდა მექანიზაციის 43 კომპლექსური რგოლი. თითოეულ მათგანს საკუთრად გამოყოფილი ჰქონდათ 8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. პატარა კოლექტივია. ტრაქტორისტი, მისი თანაშემწე და დამხმარე მეჩაიე სამუშაოთა მთელ კომპლექსს ასრულებდნენ თოხნა-მარგვლით დაწყებული და ფოთლის კრეფით დამთავრებული. მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მიწისთვისაც და მოსავლისთვისაც. ახლა კი ისინი, ვინც პლანტაციებს ამზადებს და ემსახურება, ვინც მოსავალს უზრუნველყოფს, საბჭოთა მეურნეობაში დარჩნენ. ისინი, ვინც ჩაის კრეფს, სხვა საწარმოში აღმოჩნდნენ. უკვე ბრიგადირის განკარგულებაში აღარ არის მექანიზებული რგოლის ძირითადი ძალა: ტრაქტორისტები არათუ ბრიგადიდან ბრიგადაში, მეურნეობიდან მეურნეობაშიც კი გადაჰყავთ. სრული გაუპიროვნება.

სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრი მეურნეობის მუშაკები არ ჩქარობენ სამეურნეობათაშორისო საწარმოში შესვლას. იქნებ სხვა ზონებისთვის ეს კარგიც იყოს, მაგრამ აქაურ პირობებს ასეთი სახით ჯერჯერობით ვერ ეგუება.

მახარაძელებს აწუხებთ სხვა რამეც, ერთი შეხედვით, თითქოს, წვრილმანი პრობლემები. — მესამე წელია საკმარისი რაოდენობით ვერ შეგვიძენია ელექტრონათურები, — გვეუბნება ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. მალაზონია. — ფონდები არა გვაქვს.

წინათ, როცა საბჭოთა მეურნეობა ტრესტში შედიოდა, ასეთი სიძნელეები არ იყო. ტრესტების ლიკვიდაციის შემდეგ რესპუბლიკაშიც და რაიონშიც ჯერჯერობით ვერ მოუგვარებიათ თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული მეურნეობის მომარაგების საიმედო სისტემა.

მაგრამ რთულ, ზოგჯერ წინააღმდეგობრივ პროცესებში მახარაძელები და აბაშელები ხედავენ მთავარს: სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების უდავო სარგებლიანობას. იგი ხელს უწყობს წარმოების სწრაფ ზრდას, სპეციალიზაციის გაღრმავებას — იმავე სამეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნას. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სოციალური პრობლემების უკეთ გადაწყვეტას.

შარშან მახარაძის გაერთიანების ცენტრალიზებულმა ფონდებმა შვიდ მილიონ მანეთს მიაღწია. მისი ნაწილი აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს მოახმარეს. შენდება, როგორც იტყვიან, ყოველ ნაბიჯზე ხედავ. შენდება პანსიონატებისა და საავადმყოფოების კორპუსები, აიგო საფირმო სასტუმრო მაღაზია, უკვე მოჩანს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის კონტურები.

უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნათ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების შერთებას. საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ჩაის ფაბრიკებისა და კონსერვის ქარხნების მოახლოება ხელს უწყობს კვალიფიციური კადრებით სოფლის განმტკიცებას. უფრო მჭიდრო გახდა წარმოების მუშაკებისა და მეცნიერების თანამშრომლობა. კვლევით დაწესებულებებში (რაიონში კი რამდენიმე ასეთი დაწესებულებაა) შემუშავებული სიახლენი ახლა ბევრად სწრაფად ინერგება. იგივე შემოქმედის ჩაის მიკროფაბრიკა, ძველებურად რომ გადაეწყვიტათ მისი ბედი, ჩვეულებრივი, უწყებრივი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეთანხმებების მეშვეობით, საუკეთესო შემთხვევაში, სამ-ოთხი წლის შემდეგ აიგებოდა. გაერთიანებაში იგი ოთხ თვეში ააშენეს. ათჯერ დააჩქარეს!

ან სხვა მაგალითი. მეცნიერები რვა წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ დაენერგათ ჩაის კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგია. მომხიბლავი სიახლეა: აქ დაბალხარისხოვან ნედლეულს იყენებენ. გაერთიანებამ საკითხი სწრაფად გადაწყვიტა. ცენტრალიზებული ფონდებიდან 676 ათასი მანეთი გამოყვეს და უკვე წელიწად-ნახევრის შემდეგ ნატურალური ჩაის კონცენტრატების კომბინატმა პროდუქცია გამოუშვა. თანაც ჩინებული ხარისხისა. აქვე უშვებენ მშვენიერ სასმელს „ბახმაროს." ახლა საწარმო „უმაღლესი" ნედლეულის მისაღებს ამუშავებს. მოგება ასიათასობით მანეთს შეადგენს.

არის ბევრი სხვა ცვლილებაც. არათუ აბაშაში, უკვე მახარაძეშიც დაავიწყდათ, პარტიის რაიკომის მისაღებში დილიდანვე რომ იყრიდნენ თავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, როგორ ევედრებოდნენ რაიკომის პირველ მდივანს დახმარებოდა ყოველგვარ სამეურნეო საკითხებში. ახლა ამ საკითხებს გაერთიანებაში წყვეტენ. აღარ არის იმის საჭიროება, რომ პარტიული მუშაკები სპეციალისტების მაგივრობას ეწეოდნენ.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მთავარი ის არის, რომ რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სხვადასხვა უწყების მუშაკებს საერთო ინტერესი გაუჩნდათ. მათი მატერიალური კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საბოლოო შედეგზე, პროდუქციის ერთობლივ წარმოებაზე. გაფართოვდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდის შესაძლებლობანი. ზოგიერთი ობიექტის მშენებლობისას აღარ მიმართავენ დამატებითი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს, და უკეთ იყენებენ ადგილობრივ რეზერვებს.

დიახ, სასიხარულო შედეგებია. ორი რაიონი, სხვადასხვაგვარი თავისი სპეციალიზაციით და წარმოების პირობებით. ერთი ყველაზე სუსტი იყო რესპუბლიკაში, მეორე — ყველაზე ღონიერი. გაერთიანებამ ჩამორჩენილები მოწინავეთა რიგში ჩააყენა — აბაშელთა წარმატებანი ცნობილია შორს საქართველოს ფარგლებს გარეთ; ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში დაეხმარა მახარაძელებს. მაშასადამე, ასეთი ფორმა მოწინავეებსაც გამოადგებათ და ჩამორჩენილებსაც.

მახარაძელთა და აბაშელთა გამოცდილებას რომ ვსწავლობდით, ჩვენ, თითქოს, ვეცნობოდით რესპუბლიკის სხვა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა გამოცდილებასაც: ისინი სამი წლის წინათ შეიქმნა 13 რაიონში. ეს კია, აქ მექანიზაცია და ტექნიკა მეურნეობათა დაქვემდებარებიდან არ გამოუყვანიათ. საერთოდ კი, პარტნიორების დაახლოება იმავე ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძვლად ხდება, როგორც აბაშასა და მახარაძეში.

— ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ეს სწორი მიმართულებაა, — გვეუბნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, — რაიონის ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნის გეზი ჩვენში დიდი ხანია დაისახა. მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს მოვერიდეთ. ვეძებდით მართვის მექანიზმს, რომელიც მეტად დააახლოებდა პარტნიორებს, დაინტერესებდა მათ საბოლოო შედეგით. და მხოლოდ გულმოდგინე შემოწმების შემდეგ გავავრცელეთ გამოცდილება მთელ რესპუბლიკაზე. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა დგას. ძიების პროცესში ახალი პრობლემებიც წამოიჭრება. როგორც იტყვიან, მათ ერთი ხელის მოქნევით ვერ გადაწყვეტ. მომავალშიც დღენიადაგ, გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

ახალი, 1982 წლიდან სოფლის მეურნეობის გაერთიანებანი ყველა რაიონში შეიქმნა. მათი ხელმძღვანელობისათვის ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტებს არჩევენ. ბევრი რამ გაკეთდა. აღნიშნა რა ამ გამოცდილების დიდი მნიშვნელობა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავის დღესასწაულზე წარმოთქმულ სიტყვაში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენს ქვეყანაში ყურადღებით ადევნებენ თვალს საინტერესო ექსპერიმენტებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება".

მაგრამ სწორედ ამ გამოცდილებამ, გაერთიანებათა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საჭიროა იმათი კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირება, ვინც რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში მუშაობს. ამასთანავე დაგვეხმარა უფრო ნათლად დაგვენახა დაბრკოლებანი ინტეგრაციის გზაზე.

ცხადია, ამ დაბრკოლებებს პირველნი აბაშელები გადაეყარნენ. მახსოვს, ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ გ. მგელაძე ამბობდა, რაიონში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზმის შექმნისადმი მისწრაფება რესპუბლიკის უწყებათა განკერძოებულობას დაუპირისპირდაო.

იქნებ ახლა გაქრა დაპირისპირება? არა.

— „საქსოფლტექნიკა" ჩვენგან მოითხოვს და გვიგეგმავს შევასრულოთ 250 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები, მაგრამ საჭიროა ოთხჯერ ნაკლები იყოს, — გვეუბნება აბაშის „სოფლტექნიკის" გაერთიანების მთავარი ინჟინერი დ. გუნია.

წინათ გაერთიანებას თბილისიდან დოკუმენტაციის სამი ნაკადი მოსდიოდა. დავთვალეთ, წელიწადში — 2.912 დოკუმენტი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, 2.027 — „საქსოფლტექნიკიდან", 305 მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროდან.

ახლა როგორაა საქმე?

— ბევრად შემცირდა, — გვეუბნება აბაშის გაერთიანების უფროსი ო. ცომაია.

მაგრამ საქმე მარტო რაოდენობა როდია. ზოგიერთი დოკუმენტი ძალიანაც გვჭირდება, მაგრამ ვერ ვიღებთ. ცალკეულ წლებში რაიონის გაერთიანება ვერ იხილავდა რაიონული სოფლტექნიკისა და მელიორაციის რაიონული სამმართველოს საწარმოო-საფინანსო გეგმებს: რესპუბლიკური უწყებანი, მათ, ასე ვთქვათ, დამოუკიდებლად ამტკიცებდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ ახალ სამსახურს. მთავარი კი ის არის, რომ რესპუბლიკაში რაიონულ გაერთიანებებს წინანდებურად რამდენიმე ფონდმფლობელი ჰყავთ თავ-თავიანთი გეგმებით და სხვადასხვაგვარი ინტერესებით. აბა, სცადე და აბაშაში თუ მახარაძეში შეათანხმე ისინი ბოლომდე...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულმოდგინედ სწავლობს პროცესებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარეობს. ჯერჯერობით გადაწყდა მასში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციისათვის შექმნილიყო აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საბჭო. მას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. განხორციელდა ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განმტკიცებლად, წარმოების საბოლოო შედეგებისათვის მათი როლისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

ძიება გრძელდება.

გ. ლებანიძე,
ვ. სოლოვეი,
ო. სტეპანენკო.
(„პრავდის" სპეც. კორ.).

„პრავდა" 1982 წ. 20-21 იანვარი.

XI ხუთწლედი: წელი მეორე



ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი ახალი წლის პირველივე დღეებიდან აღწევს მაღალ მაჩვენებლებს. სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის შესახვედრად საწარმოში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქარხნის კომკავშირელები, ახალგაზრდები. ისინი საკავშირო ალკკ მომავალი XIX ყრილობისა და საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის ახალი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის ემზადებიან.

● ●

სურათებზე: ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს მოწინავენი (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ენდელაძე, გ. შელიძე და რ. კუნჭულია; ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.

გ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ახალი მიჯნები

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სამხრეთ ოსეთის მრეწველობას არ ჰქონდა ჩამორჩენილი საწარმოები. ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობა მთლიანად გეგმაზომიერად, დინამიკურად ვითარდებოდა. ეს რეგიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელიც მათ გასწიეს სკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ გაფართოებულ სხდომაზე. გასული წლის შედეგებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა წლევანდელი სოციალისტური ვალდებულებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. კაბულოვამ.

მოხსენებასა და გამოსვლებში ყოველმხრივ გაანალიზეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა სამხრეთ ოსეთის შრომითი კოლექტივების დასარაზმავად მიმდინარე წლის ამოცანების შესრულებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოების შრომითმა კოლექტივებმა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულეს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, რეალიზაციისა — 101,3 პროცენტით, გასულ წელს დავალების გადაჭარბებით წარმოებულია 1395 ათასი მანეთის და რეალიზებულია 851 ათასი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გეგმა. შარშან საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქცია პირველად გამოუშვეს ცხინვალის ხე-ტყის კომბინატმა, საქალაქო მრეწველობის კომბინატმა, მექანიკურმა და ქიმიურმა ქარხნებმა. მწყობრში ჩადგა ახალი სიმძლავრეები. მაგალითად, საექსპლუატაციოდ გადაეცა რესპუბლიკაში უდიდესი ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკა. დამთავრდა კავკასიონის მთავარ ქედში გაყვანილი უნიკალური საავტომობილო გზის გვირაბის შეერთება.

ავტონომიური ოლქის სოფლის მშრომელებმა დაძლიეს უამინდობით გამოწვეული სიძნელენი და ვადამდე შეასრულეს მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის, რძის, მატყლის დამზადების წლიური გეგმები. შესამჩნევად გაიზარდა მინდვრებისა და ფერმების უკუგება.

ამასთან სხდომაზე პრინციპული, ამომწურავი სჯა-ბაასი იყო იმაზე, რომ მთლიანად ვერ იყენებენ სახალხო მეურნეობაში არსებულ ყველა რეზერვსა და ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სასურსათო პროგრამის ჩამოყალიბების, სამხრეთ ოსეთის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების პრობლემათა გადაწყვეტას. კაპიტალური მშენებლობის ახლანდელი ტემპი და ხარისხი, აღინიშნა სხდომაზე, არ შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებებით.

ყველა წამოჭრილი საკითხი ასახა ავტონომიური ოლქის მშრომელთა 1982 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში. კვლავ გაგრძელდება ოლქის ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბახის ავტონომიურ ოლქთან.

გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა. (საქინფორმი).

დღის წესრიგშია ათეისტური პროპაგანდა

გაიმართა პარტიის კალინინის რაიკომისა და საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული კონფერენცია.

მოხსენება „რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „ათეისტური აღზრდის გაძლიერების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 22 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად" გააკეთა პარტიის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ლომიძემ.

„მეცნიერება და რელიგია" — ასეთი იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის დ. გეგეშიძის გამოსვლის თემა.

ყოფა-ცხოვრებაში რელიგიური გადმონაშთებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ ილაპარაკა საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ჯალაბაძემ.

ამავე ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გასიტაშვილმა გააკეთა მოხსენება მავნე ტრადიციებისა და ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მუზეუმის რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის განყოფილების გამგემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ხუციშვილმა გააკეთა მოხსენება „ქართული ხალხური დღესასწაულების ტრანსფორმაცია და ახალი ტრადიციები". დასასრულ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ქართული ხალხური დღესასწაულები". (საქინფორმი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. გ. კაზმინი დანიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იდილიაც მუზებს მოუხმობს

როგორც ახალი წლის დღეებში ვიუწყებოდით, ბორჯომის ტყეში, პლატოს ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში აიგო სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი სახლი. შვიდსართულიანი მთავარი კორპუსი ჩინებულად შეხამებია მთიან პეიზაჟს. საინტერესოა მთავარი კორპუსის დაგეგმარება. აქ უარყოფილია დერეფნის სისტემა. ოთახების კარი გადის შიდა აივნებზე, რომლებიც გადაჰყურებს დეკორატიული აუზით დამშვენებულ გადახურულ ეზო-ვესტიბიულს.

ჩვენი ქვეყნის მუსიკოსებს აქ ყოველგვარი პირობები ექნებათ შემოქმედებითი მუშაობისათვის. მთავარ კორპუსში ერთდროულად 170 კაცი მოთავსდება, ხოლო ათ მყუდრო კოტეჯში, რომლებიც მთავარი კორპუსის გარშემოა და საოჯახოდ არის გათვალისწინებული შეიძლება არა მარტო დასვენება, არამედ ნაყოფიერი მუშაობაც, — ორი საძინებელი ოთახისა და მისაღების გარდა აქ სამუშაო ოთახიც არის. ისევე, როგორც უმრავლეს ნომრებში, აქაც დაუდგმათ პიანინო. სიმშვიდე, მთის ჰაერი, დიდებული ბუნება თავისებური შთაგონების წყარო იქნება აქ ჩამოსული კომპოზიტორების, მომღერლებისა და შემსრულებლებისათვის.

შემოქმედებითი სახლის პროექტის ავტორია არქიტექტორი შოთა დავითაშვილი, ხოლო ააგეს იგი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეცხრე ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს მშენებლებმა.

სურათებზე: ფიჭვნარში აღმართული შვიდსართულიანი კორპუსი, მთავარი კორპუსის ერთ-ერთი ინტერიერი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსკოვი: დედაქალაქის კულტურული ცხოვრება

„ჩიტუნების" გაცოცხლება

პიესის დამდგმელია ქართველი რეჟისორი

ქართული საბჭოთა რეჟისურის გამოჩენილმა წარმომადგენელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ კიდევ ერთი გამარჯვებით გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია — ახალი წლის წინა დღეებში მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ნ. გოგოლის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმატებით დადგა ფრანგი დრამატურგის ჟან ანუის პიესა „ჩიტუნები".

დ. ალექსიძის სპექტაკლი არ გახლდათ თეატრის რიგითი, ჩვეულებრივი წარმოდგენა. იგი საიუბილეო იყო საბჭოთა სცენისა და ეკრანის გამოჩენილი ოსტატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ბორის ჩირკოვისათვის, რომელსაც ახლახან 80 წელი შეუსრულდა.

ამ ერთგვარი „საიუბილეო სპექტაკლის" რეჟისორის ძიებისას სწორედ ბ. ჩირკოვმა შეაჩერა არჩევანი ქართველ რეჟისორზე, დ. ალექსიძესთან მოისურვა შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ჟან ანუის დრამატურგია კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში დაიდგა პიესები „ტოროლა" და „ანტიგონე", მაგრამ „ჩიტუნები" რადიკალურად განსხვავდება ანუის სხვა ნაწარმოებებისაგან. თითქოს უჩვეულოა, რომ ანუის შემოქმედებითი მრწამსი ასეთი გზით წარიმართა, ზურგი აქცია ანტიკური დრამატურგიის თანამედროვე ადაპტაციას, წარსულის მემკვიდრეობის ფილოსოფიურ გააზრებას და დღევანდელობის ეგრეთ წოდებული ყოფითი სიტუაციებით დაინტერესდა, მაგრამ ყოველი მწერლის ღირსება ხომ ისიც გახლავთ, რამდენად ახლოს დგას იგი თავისი დროისა და ხალხის ინტერესებთან — ცხოვრების ორომტრიალში დაეძებს თავის პერსონაჟებს. ფრანგმა დრამატურგმა ამ პიესითაც დაადასტურა, რომ მისთვის ანტიკურის ადაპტაცია თანამედროვეობის გააზრების, მის ირგვლივ არსებული ყოფის ასახვის საშუალება იყო და არა ბრმა მორჩილება უდიდესი ლიტერატურისადმი.

დიახ, ამჯერად მწერალმა ფიქრის საგნად აქცია ადამიანები, რომლებიც მის ირგვლივ მოქმედებენ. მან ერთი ოჯახის ცხოვრების ფონზე დაგვანახვა აქტუალობა, დღევანდელობა თავისი ფილოსოფიური მრწამსისა, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში იშვა და ამ საზოგადოების ავ-კარგის (ამ შემთხვევაში — უფრო სიავის) პრობლემას ამუშავებს. „ჩიტუნებში" ჟან ანუიმ თითქოს მასშტაბები „დაავიწროვა", მოქმედება ერთ ოჯახში მოაქცია, მაგრამ ამ ოჯახის ყოფის ასახვით ერთობ განზოგადებულად წარმოგვიდგინა, თუ როთ ცხოვრობს დღევანდელი საფრანგეთი, რა პრობლემები აწუხებს, რა გასაჭირი ადგას ზნეობრივი სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე. ჟან ანუი თავისი გამახვილებული პოლიტიკური გრძნობით, წერის ტრაგიკულ ფარსამდე მისული მანერით (რაც არ შეინიშნებოდა ანუის ადრინდელ შემოქმედებაში და ეს ფარსული ელემენტი სპექტაკლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილადაც იქცა), დღეს ცდილობს მძაფრი გამოუტანოს და განკურნოს 70-იანი წლების დამლევის საფრანგეთის საზოგადოებრივ ყოფაში გამეფებული სექსის, ძალადობის, პოლიტიკური კორუფციის ტენდენცია.

მაგრამ ესა თუ ის ამბავი, სიუჟეტი სწორედ მაშინ ხდება ღირებული, როცა საზოგადოებრივ ჟღერადობას პოვებს — ოჯახის ამბავი ოჯახის კედლებში კი არ დარჩება, არამედ ქვეყნის ცხოვრების ფოკუსად მოგვევლინება, სწორედ ასე მოხდა ამჯერადაც — დ. ალექსიძემ შეფის (ბ. ჩირკოვი) ცხოვრების მეოხებით თანამედროვე ფრანგული ყოფა წარმოგვიდგინა. ამ შემთხვევაში შეფის ოჯახი მოგვევლინა ერთგვარ ფოკუსად, რომელშიც თავი მოიყარეს სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანებმა. შეფი — ბ. ჩირკოვი იმ მუხასა ჰგავს, რომლის ჩრდილქვეშ შეფარებული არიან ეს ადამიანები. დ. ალექსიძემ მათს ყოფაში, პოლიტიკურ მისწრაფებებში აღმოაჩინა ისეთი რამ, რაც რეჟისორს საშუალებას აძლევს გამოიმუშაოს თავისი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი. აღმოაჩინა, რომ პიესის პერსონაჟთა ყოველგვარი პოლიტიკური მისწრაფებანი მხოლოდ გარეგნული საფარია მათთვის. სინამდვილეში ამ ადამიანებისათვის მთავარია არა საზოგადოებრივი ინტერესები, არა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა, არამედ სექსი, ძალადობა. ყველა პერსონაჟი თავისი თეზით შემოდის სპექტაკლში — შეფი ბ. ჩირკოვი ხომ ყველაფრის თავიდათავია, არჩიბალდი — ლ. კულაგინი ფერადკანიანთა თავისუფლების მებაირახტრედ გვევლინება, ლუსი — ე. ლაპოცკაია მიტინგების, გაფიცვების აქტიური წამომწყები და მხარდამჭერია, როზი — ლ. ჩირკოვაც თავისი თეზის — მოწინავე საზოგადოებისათვის სასარგებლო თეზის იდეების მატარებელია; ერთი სიტყვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ საზოგადოებას არავითარი სატკივარი არ უნდა ჰქონდეს, ყველა თავგამოდებით იბრძვის პროგრესისათვის, თითქოს იოლად მოგვარდება ყველა პრობლემა იმ საზოგადოებაში, სადაც ასეთი ინტერესების ადამიანები არიან, მაგრამ მათ სულში რომ ჩაიხედავ, მათს ყოფას რომ გაადევნებ თვალს, შიგ მხოლოდ ჭუჭყს აღმოაჩენ. ამით ანუი გვამზადებს ერთი აზრისათვის, იგი თანდათან ამწიფებს თეზას — დახშულია გზა სოციალური პროგრესისა, როცა ადამიანები თავიანთ თავს წარმოგვიდგენენ საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელ პიროვნებებად, სინამდვილეში კი მხოლოდ სექსისა და ძალადობის მანიით არიან შეპყრობილნი.

ამიტომ იგი დასცინის ამ საზოგადოებას, აბიაბრუებს მას და ბოლოს ცეცხლის ალშიც გაახვევს.

აი, ამ მომენტს უსვამს ხაზს სპექტაკლში რეჟისორი. საამისო გარემოს ქმნიან სცენაზე ჩვენი ჩინებული მხატვრები — ი. ჩიკვაიძე, ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, გარეგნულ კეთილდღეობაში, გარეგნულ ელვარებასა და ბრჭყვიალში მხატვრები ხედავენ შინაგანად გამრუდებულ სულიერ სამყაროს. ეს მომენტი მათ ასახეს პერსონაჟთა პორტრეტულ გააზრებაში, გრიმში, კოსტიუმებში და ამით შეიქმნა ჟ. ანუი — დ. ალექსიძე — მხატვართა სამეულის ერთიანი ჰარმონიული გააზრება სამყაროს გროტესკული წარმოსახვისა.

დ. ალექსიძე კომიკური სასცენო ხელოვნების აღიარებული ოსტატია. მან სცენური სიცოცხლე შთაბერა არა მარტო „ოიდიპოს მეფეს" ან „ბახტრიონს", არამედ „სასტუმროს დიასახლისს", „დონ სეზარ დე ბაზანს" და „სამგროშიან ოპერას" — კომიკური სიტუაციებით დატვირთულ ნაწარმოებებს. ტყუილად როდი წერდა ცნობილი რუსი კრიტიკოსი იური რიბაკოვი, რომ დ. ალექსიძეს „აქვს თეატრალური ფორმის შესანიშნავი გრძნობა და ძალუძს ამ ფორმას მიანიჭოს მონუმენტურობა".

ამ შემთხვევაში პიესის საერთო გაწყობილება — მიმართებების, მისი ქვეტექსტის ამოკითხვამ საცნაური გახადა დ. ალექსიძისეული სცენური ფორმა — ერთგულება პიესისადმი, პირველწყაროსადმი. ამიტომ მოსკოვის გოგოლის თეატრში დადგმული სპექტაკლის ღირსება ის გახლავთ, რომ მან მაყურებელს მთელი სიგრძე-სიგანით გადაუშალა ჟან ანუის სამყარო, სწორად ამოიკითხა ის პრობლემები, რომლებიც ასე აღელვებდა ცნობილ ფრანგ დრამატურგს.

ამას გარდა, ქართველ რეჟისორთან მუშაობამ ახლებურად ააელვარა მოსკოვის გოგოლის თეატრის მსახიობთა შესაძლებლობანი. ეს კი, პირველ რიგში ბორის ჩირკოვის მისამართით ითქმის. თავისი დაბადების 80 წლის თავზე გამოჩენილმა მსახიობმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ ნამდვილი ხელოვნება არ ბერდება. მსახიობს, რომელიც გუშინ ქართველ გლეხს აგაბო წოგვერაძეს თამაშობდა (და ამითაც მოიპოვა ჩვენი სიყვარული და პატივისცემა), დღეს ფრანგი მწერლის როლში ვხედავთ, მწერლისა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება დეტექტივებს წერდა, სექსისა და ძალადობის სამყაროს ქმნიდა და ახლა თავად იმკის იმას, რაც დათესა. თავად იწვნია, თუ როგორ მოქცეულან მისი შვილები მისივე რომანების პერსონაჟთა გავლენის ქვეშ. ეს არის ბევრისმხილველი ადამიანი, რომლისთვისაც ამქვეყნიური ვნებანი უკვე იუმორის საგანი თუ გამხდარა, თორემ სერიოზულად აღარაფერს აღარ აღიქვამს. ყველაფერ ამას თავისი სოციალური გამართლებაც აქვს: შეფს ისეთ გარემოში უხდება ცხოვრება, რომ ყოველგვარ სერიოზულ საქმიანობაზე ფიქრი არასერიოზულად ესახება. ბ. ჩირკოვი — შეფის იუმორის, ქილიკის ძალა ის არის, რომ მან იცის, როგორ უნდა წარმართოს ამ ხალხის სულიერი სამყარო.

ჩინებული მსახიობია რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ლეონიდ კულაგინი. „ჩიტუნებში" იგი არჩიბალდის როლში მოგვევლინა და დიდი ფუნქციაც იტვირთა სპექტაკლის ხატოვანების თვალსაზრისით. სწორედ ლ. კულაგინის არჩიბალდთან მიმართებაშიც გამოვლინდა სპექტაკლის საკონფლიქტო მუხტი, მისი მსახიობური ოსტატობა თავიდათავია ამ სახის ჩინებული გააზრებისა.

სცენის ნიჭიერ ოსტატებად წარმოგვიდგნენ ქართველი რეჟისორის სპექტაკლში ლ. ჩირკოვა, ლ. გენიკა, ნ. ფარტიშევა, რ. სპორიჩევი, ს. ალექსეევა, ა. გულიაევა, ო. ჟულინა, ვ. კუჩეროვსკი, ყოველი მათგანის შემოქმედებითი თავდადების წყალობით მივიღეთ სცენური ქმნილება, რომელიც რუსულ-ქართული მდიდარი თეატრალური ურთიერთობის ნათელ გაგრძელებასაც წარმოადგენს და თეატრალური ხელოვნების იმ ნიმუშსაც, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლე უწერია.

გ. ბათიაშვილი.

უღრმესი მადლიერება

დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის გამოფენამ, რომელიც ამას წინათ მოეწყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში, თბილისის შემდეგ თავისი ბრწყინვალე და განუმეორებელი ექსპონატებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, ა. ფადეევის სახელობის მწერალთა კავშირის მყუდრო დარბაზებში დაიდო ბინა. დამთვალიერებელთა ასეთი მოზღვავება დიდი ხანია არ ახსოვს მწერალთა სახლს. ქართველი მხატვრის პალიტრას ეზიარა ათასობით მოსკოველი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი. ეს იყო ქართული სახვითი ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმი.

ვერნისაჟზე გამოვიდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი ო. შესტინსკი.

— დ. კაკაბაძის შემოქმედებამ, — თქვა მან, — გაუსწრო ჩვენი ეპოქის რიტმს და გარკვეული მხარეებით ნოვატორული მწვერვალები გადალახა...

სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუხარსკიმ, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. კარატეევამ, ხელოვნებათმცოდნემ ა. კამენსკიმ. პროფესორმა გ. მასხარაშვილმა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულმა მხატვარმა მ. ნაჯაფოვმა. პოეტმა ე. ევტუშენკომ. პოეტმა ა. ვოზნესენსკიმ აღნიშნა რომ მწერალთა კავშირი დიდ საქმეს გააკეთებს, თუ მოკლე ხანში დასტამბავს დ. კაკაბაძის თეორიულ გამოკვლევებს „სურათის პრინციპებს", „ხელოვნებას და სივრცეს", „კონსტრუქციული სურათის შესახებ", „თანამედროვე მხატვრობის გზას" და მეცნიერულ ნარკვევს ბექა ოპიზარის შესახებ...

გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრის შემოქმედების თითქმის ყველა პერიოდის ნამუშევრები. ჩვენი გაზეთის მკითხველებს თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეატი თ. სალახოვი:

„დ. კაკაბაძის მზიური ხელოვნება, დარწმუნებული ვარ, მალე მთელ მსოფლიოს მოივლის. მისი ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ფურცლები მშვენივრად გადმოგვცემს მხატვრის შინაგან სამყაროს, მისი სულის ლაბირინთებს და ნაფიქრალს. მე წილად მხვდა ბედნიერება, ამერიკაში ყოფნის დროს მენახა 1927 წელს, ნიუ-იორკში გამოცემული კატალოგი, რომელიც ბრუკლინის მუზეუმის 1926 წლის გამოფენას ეძღვნება. ეს გამოფენა მარსელ დიუშანის და კატრინ დრეიერის ინიციატივით მოეწყო და ვ. კანდინსკის 60 წლის იუბილეს დაუკავშირეს. გამოფენაზე მსოფლიოს უდიდეს მხატვართა შორის წარმოდგენილი იყო დ. კაკაბაძის 7 ნამუშევარი. სამწუხაროდ, ეს ტილოები სამუდამოდ დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დღეს ნიუ-ჰევენში იელის უნივერსიტეტის კუთვნილებაა".

ლუსიენ ნო — ფრანგი ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალ „პარი-მატჩის" კორესპონდენტი: „დ. კაკაბაძემ ღირსეული და გამორჩეული ადგილი დაიკავა თანამედროვე სახვითი ხელოვნების ოსტატთა გალერეაში: მ. ლარიონოვი, ვ. კანდინსკი, განს არპი, არხიპენკო, ჟან ლიურსი, ბენ ნიკოლსონი, პიკასო, მირო, გაბო... ეს გამოფენა არასდროს დამავიწყდება, რადგან შეუძლებელია იგრძნო ჭეშმარიტი ხელოვნება და მერე გულგრილი დარჩე. ეს ძვირფასი დღეა ჩემთვის..."

სითბოს და სიკეთის გამოსხივება...

მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერთა სახლის დარბაზში მოეწყო ჩვენი თანამემამულის, ნინო ლორთქიფანიძის ნამუშევრების გამოფენა. სახვითს ხელოვნებას იგი საკმაოდ მოგვიანებით ეზიარა — 70-იანი წლების დამლევს. მანამდე ნინომ წარმატებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის განყოფილება, ცოტა მოგვიანებით კი პრაღაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იგი მრავალი საინტერესო არქიტექტურული პროექტის ავტორია. ფერწერამ ფინეთში გაიტაცა, როცა იგი ჰელსინკში მუშაობდა საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების სასახლეში. მისი მასწავლებელი იყო გამოჩენილი ფინელი მხატვარი იუჰანი ლინოვაარა...

მხატვრის პერსონალური გამოფენის გახსნისას არქიტექტურის დოქტორმა მ. ბარხინმა თქვა: — „ქართველი მხატვარი ქალის ნამუშევრების გამოფენამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, აქ წარმოდგენილია არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების სინთეზი, შუქისა და სივრცის გამოყენების ის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელიც თანამედროვე ხელოვნების, XX საუკუნის მხატვრული ტრადიციების ნოვატორული აღქმაა".

სიტყვები წარმოთქვეს მხატვარმა ვ. ბირშტეინმა, მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის პრორექტორმა, პროფესორმა ი. კვასოვმა და სხვ.

ჩრდილოეთის შუქით გაცისკროვნებულა ურბანისტული პეიზაჟები, არქიტექტურული მოტივებით არის აღსავსე კომპოზიცია „შუადღე", საოცარი სითბოთი და სინაზით გამოირჩევა „ავტოპორტრეტი", „შემოდგომა", „უსასრულობა", „მოგონება"...

სპეციალურ პროგრამაში, რომელიც გამოფენის გახსნას მიეძღვნა, ხელოვნებათმცოდნე ს. პოლიტიკო წერს: „კრიტიკამ უკვე აღნიშნა ნ. ლორთქიფანიძის ნამუშევრების სიახლოვე ქართული ფერწერის დიდებულ ტრადიციებთან. გარდა ამისა აღტაცებით ვეზიარეთ მხატვრის შინაგან სამყაროს: სივრცის რთულ პლასტიკას, დეკორატიულობას, ყოფიერებას, როცა ყოველ წუთს, ყოველ წამს იგი აღიქვამს როგორც განუწყვეტელ ზეიმს და იმ უსასრულო სითბოსა და სიკეთის გამოსხივებებს, რომლითაც ასე უხვად გამოირჩევა ნ. ლორთქიფანიძის პალიტრა"..

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ამბროლაური

გვატყობინებს „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რაიონში პირველი

მწყობრში ჩადგა რაიონში პირველი ბუგეულის საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის კომპლექსი 200 ფურისათვის. აქ შრომატევად სამუშაოთა ისეთი ტექნოლოგიური პროცესები — უხეში საკვების დაქუცმაცება, მისი საკვებურზე მიწოდება, პირუტყვის დარწყულება და ძროხების წველა — მთლიანად მექანიზებულია.

კომპლექსს აქვს რძის ლაბორატორია, მაცივარი, საწველი აპარატების სამრეცხაო და საზეინკლო საამქრო.

ამაგი დაუფასდა

იმ დღეს ნესის 8-წლიან სკოლაში დიდი ზეიმი იყო. მასწავლებლები და მოსწავლეები პენსიაზე აცილებდნენ ამაგდარ აღმზრდელს, სკოლის ყოფილ დირექტორს გედეონ ნამგალაძეს. იუბილარმა ახალგაზრდების აღზრდას თავისი სიცოცხლის ორმოც წელზე მეტი მოახმარა. ვინ მოთვლის, რამდენი ნესელი ახალგაზრდა დააყენა მან ცხოვრების დიდ გზაზე.

სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ისინი უდიდესი სიყვარულითა და მადლიერებით მოიხსენიებდნენ მომავალ თაობაზე ფიქრში გაჭაღარავებულ პედაგოგს.

შეხვედრა წარსულთან

სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა იტალიელი ალპინისტისა და საზოგადო მოღვაწის ვიტორიო სელას ფოტოსურათების გამოფენა. ექსპონატები აცოცხლებს მთიანი რაჭის მცხოვრებთა ასი წლის წინანდელ სახეებს, გვაცნობს წინაპართა ცხოვრებას, კუთხის ფლორასა და ფაუნას, ისტორიასა და ეთნოგრაფიას, ხუროთმოძღვრებასა და რიტუალებს.

ფოტოსურათების გამოფენა, რომელიც რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო, ერთ თვეს გასტანს.

მეზღვაურის საჩუქარი

ვეშაპმჭერი ფლოტილიის „სლავას" მეზღვაურს შალვა ჭელიძეს ახლო ურთიერთობა აქვს თავისი მშობლიური სოფლის ხოტევის საშუალო სკოლის მასწავლებლებთან და პიონერ-მოსწავლეებთან. სკოლის ბიოლოგიის კაბინეტს მან არაერთი უნიკალური ექსპონატი უსახსოვრა. ხოტეველი მოსწავლეები სათუთად ინახავენ შორეული ანტარქტიდიდან ჩამოტანილ პინგვინის ფიტულს, ვეება ვეშაპის ულვაშებს, ზღვის ნიჟარებს და სხვა ექსპონატებს.

გაკვეთილები შაორის ველზე

ნიკორწმინდელ მოსწავლეებს დიდხანს ეხსომებათ შაორის თვალწარმტაც ველზე ჩატარებული გეოგრაფიის გაკვეთილები. საგნის მასწავლებელს ვალერიან გეგეშიძეს ახალი გაკვეთილის უკეთ შეთვისების მიზნით ხშირად მიჰყავს მოსწავლეები ბუნების წიაღში. იგი ღია ცისქვეშ გადასცემს მოსწავლეებს ახალ მასალას, პრაქტიკულად აცნობს ხელოვნურ წყალსაცავს, უჩვენებს ქედებს, ტბებსა და მდინარეებს.

გეოგრაფიის ერთ-ერთი მორიგი გაკვეთილი კარსტული მოვლენების შესწავლას მიეძღვნა. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ხერგის მიდამოებში მდებარე კარსტული ქვაბულები, ნახეს ის ადგილი, სადაც კამხალის აგებამდე უფსკრულში ინთქმებოდა და უჩინარდებოდა მდინარე შაორი.

ქუთაისელთა საშეფო კონცერტი

რაიონის მშრომელებს ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები ეწვივნენ. მათ ბევრი ადგილობრივი ღირსშესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს, გაეცნენ ქალაქის სამუსიკო სკოლის საქმიანობას, ესაუბრნენ მის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. სტუმრებმა მასპინძლებს ბევრი კეთილი რჩევა-დარიგება მისცეს.

დასასრულ ქუთაისელმა მუსიკოსებმა კულტურის სასახლეში საშეფო კონცერტი გამართეს.

თემურელთა კეთილი საქმეები

„ბებია მაშო" — ასე ეძახიან სოფელ ხოტევში მცხოვრებ საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე გურგენიძის დედას. ამ სათნო მოხუცს ბევრი პატარა მეგობარი ჰყავს. ისინი ხოტევის საშუალო სკოლის თემურელები არიან.

თემურელები აქტიურად ეხმარებიან ბებია მაშოს საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებაში, მოსავლის დაბინავებაში, შეშის დამზადებაში. ერთ დროს უწყლობა აწუხებდა მოხუცს, ახლა კი მის ეზოში ანკარა წყალი მორაკრაკებს. ეს თემურელთა მეცადინეობით მოხდა.

მოსწავლეებმა თავიანთი დანაზოგი სახსრებით ბებია მაშოს გამოუწერეს „ნორჩი ლენინელი" და რაიონული გაზეთი „კომუნიზმის სხივი".

ვ. ცირეკიძე.

საპატიო ჯილდო

ამ დღეებში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოზარდი თაობის იდეური წრთობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის, მოსწავლეთა შორის სპორტული და სამხედრო-პატრიოტული მუშაობისათვის საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ა. პ. გაიდარის ნიშნით დაჯილდოვდა ღვაწლმოსილ მუშაკთა ერთი ჯგუფი.

ლაურეატთა შორის არიან გამოჩენილი ადამიანები: საბჭოთა კავშირის მარშალი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელთა და ახალგაზრდათა საკავშირო ლაშქრობის ცენტრალური შტაბის თავმჯდომარე ი. ბაგრამიანი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ცენტრალური ტელევიზიის გადაცემის „ცხოვრების საგზური" წამყვანი ვ. პოპოვიჩი და სხვები.

სასიხარულოა, რომ დაჯილდოებულთა შორის არის გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი ივანე ცერცვაძე.

ზ. ლომთაძე.

პირველი ჩემპიონები

ბაკურიანში მიმდინარე საქართველოს ზამთრის V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველი დღის შეჯიბრებაში თავი ისახელეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. დიაკონაშვილმა, ბოგდანოვკელმა ვ. ტერეხოვმა და ბორჯომელმა გ. გვარამაძემ. პირველი — ტრამპლინიდან ხტომაში იყო უძლიერესი — 216,3 ქულა (ნახტომები 79 და 79,5 მეტრი), მეორე — 30 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში (1:39.19), მესამე — 20 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში (1:08.0). აღსანიშნავია, რომ გ. დიაკონაშვილმა აჯობა უფროსებსაც და თანატოლ იუნიორებსაც და იგი სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა და იუნიორთა შეჯიბრების გამარჯვებულიც.

გუშინ 10 კილომეტრზე ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვა რ. შერვაშიძემ (მესტია) ხოლო გოგონებში უძლიერესი იყო ე. ზურაბიანი (შესაბამისად 44,04 და 45,12). 70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში ყველას აჯობა თბილისის ნაკრებმა. ორჭიდელთა ასპარეზობაში (ტრამპლინიდან ხტომა) დაწინაურდა ბორჯომელი ე. ფილიევი. დღეს ორჭიდელები 15-კილომეტრიან დისტანციაზე ცდიან ძალებს.

კალეიდოსკოპი

14 ყვითელი და სამი წითელი ბარათი

მადრიდის გუნდების „რეალისა" და „ატლეტიკოს" შეხვედრები მუდამ დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩევა. ასე იყო ამჯერადაც — ესპანეთის ჩემპიონატის მე-19 ტურში. არც ერთ გუნდს არ სურდა ესოდენ საჭირო ქულების დათმობა და, გარდა ამისა, საკუთარი სტადიონის წინაშე თავის შერცხვენა. მაგრამ მატჩის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: 14 გაფრთხილება და სამი გაძევება! მსაჯმა უხეშობისთვის მინდორი დაატოვებინა არციერს, მარკოსსა (ორივე „ატლეტიკო") და პინედას („რეალი"). რაც შეეხება სპორტულ შედეგს, გაიმარჯვა „რეალმა" — 3:2.

ალან ბოლი დაიღუპა

ეს სამწუხარო ცნობა ინგლისში კვიპროსიდან მოვიდა, სადაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჯეიმს ალან ბოლი იანვრის დასაწყისში ჩაფრინდა, რათა სათავეში ჩადგომოდა ნიქოზიის „ევაგორასს", როგორც უფროსი მწვრთნელი. მაგრამ ტაქსი, რომელიც ბოლმა ნიქოზიის აეროპორტიდან ქალაქში მისასვლელად დაიქირავა, ავარიაში მოხვდა.

შოტლანდიელების გეგმები

შოტლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დაგეგმა 5 მატჩი: 24 თებერვალს — ესპანელებთან, 24 მარტს — ჰოლანდიელებთან, 28 მარტს — ჩრდილო ირლანდიელებთან, 24 მაისს — უელსელებთან და 29 მაისს — ინგლისელებთან. საბოლოო შეკრება დაიწყება 23 მაისს შოტლანდიის თასის ფინალური მატჩის შემდეგ.

სერეზო არ ითამაშებს

ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ნახევარმცველი ტონინიო სერეზო ვერ ითამაშებს მსოფლიო პირველობის პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ სერეზო ყვითელი ბარათით დაჯარიმდა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში და რახან მაშინ შეჯიბრება დამთავრდა, სასჯელს ახლა მოიხდის.

სატურნირო ორბიტა

ფარიკაობა. დამთავრდა „მოსკოვის ხმლად" წოდებული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ნაკრებმა პირველობა მოიპოვა. ფინალში ჩვენმა მოფარიკავეებმა რუმინელები დაამარცხეს 9:2. პირად შეჯიბრებაში უძლიერესი იყო მოსკოველი სერგი კაზოკინი.

თავისუფალი ჭიდაობა. საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეები. ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ნაკრებმა გუშინ ოდესაში იასპარეზეს. 3 თებერვალს — ნოვოსიბირსკში სცდიან ძალებს, 6 თებერვალს — მოსკოვში. გარდა ამისა, ამერიკელი ათლეტები 29-31 იანვარს იასპარეზებენ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

ფეხბურთი. უნგრეთის ნაკრებმა დაიწყო მზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის. უნგრელებმა კანბერაში ავსტრალიის საკლუბო გუნდ „კანბერა ოლსტარზთან" გამართეს შეხვედრა და მოიგეს ანგარიშით 4:1. საბჭოთა ნაკრები კი კვლავ ესპანეთისაკენ გაემგზავრება 31 იანვარს და იქ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი ნაკრები 12-15 ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. ფინალამდე 80 დღით ადრე გამოცხადდება ნაკრების 40 კანდიდატის სია, მოგვიანებით კი დადგინდება საბოლოო შემადგენლობის 22 ფეხბურთელის ვინაობა.

ე. სინაურიძე

გარდაიცვალა 1918 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ერასტი სიმონის ძე სინაურიძე.

ე. ს. სინაურიძე დაიბადა 1892 წელს ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ ტყაჩირში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 12 წლის ასაკიდან ეწეოდა შრომით საქმიანობას. 1918 წლის თებერვალში იგი ლენინური პარტიის რიგებში მიიღეს. ამიერიდან ე. სინაურიძე თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა პარტიისა და ხალხის საქმისადმი სამსახურს, ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" თავმჯდომარის თუ სხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე მას თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებაში.

1969 წლიდან იგი პენსიაზე გავიდა, თუმცა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ გაუწყვეტია კავშირი კოლექტივთან, თავის მდიდარ გამოცდილებას ჩვეული გულმოდგინებით უზიარებდა ახალგაზრდა მუშაკებს.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მამულიშვილი ე. ს. სინაურიძე, მაგრამ დაგვიტოვა ნათელი კვალი, კეთილი მოგონება პარტიის ერთგულ ჯარისკაცზე, ადამიანზე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ხალხის საკეთილდღეოდ.

პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

29, 30 და 31 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ეწყობა თბილისის XXI საერთაშორისო ტური თავისუფალ ჭიდაობაში

მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ირანის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ, თურქეთის და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.

ტურნირში ცალკე ნაკრებად გამოდის საქართველოს ნაკრები.

მონაწილეთა შორის არიან ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და მსოფლიოს თასის მფლობელები.

დასაწყისი 29 და 30 იანვარს 10 და 18 საათზე, 31 იანვარს — 11 და 16 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ტელევიზია

27 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოკეანესთან პირისპირ", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისათვის — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოლდავური ესკიზები", 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". მე-10 სერია (მ.), 12.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერვე საოცრება", 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 13.30 — „ჩემი საყვარელი კინოკომედია", 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — „თქვენთვის, პატარებო!" — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლის თავისათვის" (მოთხრობები ხუთწლედზე", 18.35 — გადაცემა „დიდება შენს მობრძანებას" (განმეორებით), 19.05 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", — „ოქროს ბურუსში", 20.00 „მოამბე", 20.30 — საქართველოს პროფკავშირთა მე-17 ყრილობის შესახ ვ ე დ რ ა „პარტიის საიმედო დასაყრდენი", 21.20 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ორმო" და „ლეგის ქურდები", 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბადო", 18.25 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 19.10 — მხატვრული ფილმი „მეფე ირემი", 20.20 — განცხადებები.

თეატრი

27 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვარიაციები თანამედროვე თემაზე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პაკი აძბა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები.

„კომუნისტი"
ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-28-44; მახარაძე — 6-84-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08058 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20